



**დიმიტრი
ტატანაშვილი:
ჩახეთში
კონტრაქტი
გელის**

სიტყვების მიღმა რჩებიან!

დღეს, 19 საათისთვის, ტელევიზორებს საზოგადოებრივ მაუწყებელზე თუ ჩართავთ, პეტარ სეგრტიუსული საქართველოს ნაკრების პირველი მატჩის ნახვის საშუალება გექნებათ. ვფიქრობთ, გახსოვთ, მაგრამ მაინც: ტალინში ესტონეთის ნაკრებს ამხანაგურად ვეთამაშებით.

19 საათისთვისო, ვთქვით — მატჩი ჩვენი დროით ზუსტად 19 საათზე კი დაიწყება, მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდზე რეპორტაჟის დაწყების დროდ 19.05 საათი წერია, ანუ, როგორც არაერთხელ მომხდარა, ჰიბნებს ვერ მოვისმენთ და პირველ წუთებს ვერ ვნახავთ.

გუმინ სალამოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროსს, სანდრო ცნობილადეს ესტონური ამბები გამოვკითხეთ, რასაც „სარბიელის“ მეორე გვერდზე წაიკითხავთ, ნაკრების მწვრთნელ პეტარ სეგრტს კი მატჩისწინა კომენტარისთვის რომ დავურეკეთ, რაიმე ისეთი არ უთქვამს, რასაც არ ველოდით: ტრავმები არ გვაქვს, ბიჭებმა მონღომებით ივარჯიშეს, განწყობა კარგია... უფრო მნიშვნელოვანი კი, ვფიქრობთ, ის იყო, პეტარ სეგრტის ზმაში სიმხნევე და რწმენა რომ იგრძნობოდა.

ასე რომ, დღეს 19 საათიდან...

**პირტუბალიაში
რთხი დღით
ადრე**




**დღეს
19 საათი
ტალინი
ესტონეთი
პეტარ სეგრტის
პირველი მატჩი**



**ფრანკი
მანუჩინიუს
როდის ბრუნდები
ჩელსიში? — ჰკითხა
აბრამოვიჩმა
განსაკუთრებულს**

რონალდ დე ბურის უახლოესი გაგმა განსაკუთრებულ ქალაქში საუკეთესო მებრძოლთან



ფრანკ და რონალდ დე ბურები ერთ კვირაში შოთა არველაძეს თბილისში ინახულებენ

შოთა არველაძე არის ადამიანი, რომელსაც ათასი პროცენტით ვენდობი. ის უბრწყინვალესი პიროვნებაა, ნებისმიერი კომპანიის სული და გული. შოთა ჩემი საუკეთესო მეგობარია და რა უნდა მოხდეს, გაუჭირდეს და მე მასთან არ გავჩნდე — გვითხრა გუმი რონალდ დე ბურმა.

გაჭირვება შორს იყოს და, 3 ივნისს ჰოლანდიელი ტყუპისცალი ქართველ ტყუპისცალს იმ ქალაქში ესტუმრება, საიდანაც წინა სტუმრობისას ეს შთაბეჭდილება გაჰყვა: თითქმის მთელი მსოფლიო მოვლილი მაქვს, მაგრამ თბილისში რომ დახვეწილი არქიტექტურაა, ასეთი იშვიათად მინახავს.

ინტერვიუ რონალდ დე ბურთან

**ნვიანაძე
ფრანგებმა
ქაჯაბი
ნაშალას
მეორე დღე როლან
ბაროსზე**

რონალდ დე ბური: თბილისი განსაკუთრებულია! მა ჩემს საუკეთესო მეგობართან მოვდივარ



გორამ დოღვაშვილის ფოტო



ფრანკი და რონალდი

„შოთა არველაძე არის ადამიანი, რომელსაც 1 000 პროცენტით ვენდობი. ის უბრწყინვალესი პიროვნებაა, ნებისმიერი კომპანიის სული და გული, შოთა ჩემი საუკეთესო მეგობარია და რა უნდა მოხდეს, გაუჭირდეს და მე მასთან არ გაეჩნდეს“ — ეს რონალდ დე ბურის სიტყვებია, რომელიც გუშინ ინტერვიუში გვითხრა.

რონალდ და ფრანკ დე ბურები — ალბათ, სიმბოლურია, რომ ჰოლანდიელი და ქართველი ტყუპები დიდი მეგობრები გახდნენ. რონალდი ორიოდ წლის წინ შოთასთან სტუმრად თბილისშიც იყო ჩამოსული და ინტერვიუშიც ნაიკითხავთ, რა შთაბეჭდილებები ნაიყოლა უკან.

რონალდი 90-იანი წლების ჰოლანდიის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი გახლდათ, ევრო და მსოფლიო ჩემპიონობასთან ახლოს იყო, მაგრამ... ტყუპისცალმა „ნარინჯისფერთა“ უიღბლობაზე და კიდევ იმ „რალაცაზე“ გვითხრა, რაც ჰოლანდიას დიდ ტურნირებზე გამარჯვებაში ხელს უშლის — დღემდე ვერც ერთმა მწვრთნელმა ვერ ამოხსნა, რა გვაკლდება ჩემპიონობამდე.

სამაგიეროდ, დიდ „აიაქსში“ გატარებული წლები და 1995 წელს მოგებული ჩემპიონთა ლიგა გაიხსენა ტკბილად.

მაშ, დავინყოთ...

რონალდ დე ბური

ნახევარმცველი

დაიბადა 1970 წლის 15 მაისს პურნში (ჰოლანდია)			
1987-1991	აიაქსი	52 მატჩი	14 გოლი
1991-93	ტვენტე	49 მატჩი	22 გოლი
1993-98	აიაქსი	172 მატჩი	36 გოლი
1998-2000	ბარსელონა	33 მატჩი	1 გოლი
2000-04	რეინჯერსი	104 მატჩი	32 გოლი
2004-05	ალ-რაიანი (ყატარი)		
2005-06	ალ-შამალი (ყატარი)		
1993-2003	ჰოლანდიის ნაკრები	67 მატჩი	13 გოლი

— 3 ივნისს შოთა არველაძის გაცილების მატჩზე, რა თქმა უნდა, ჩამოდიხართ...

— ულაპარაკოდ. შოთას ბენეფის-მატჩს როგორ გამოვაკლდები... შოთა უშუალო ადამიანია, ძალიან ხუმარა და ნებისმიერი კომპანიის სული და გულია. „გლაზგო რეინჯერსსა“ და „აიაქსში“ ერთად გავატარეთ ლამაზი წლები. გასახდელის ფეხბურთელს რომ ეძახიან, აი, ზუსტად ისეთია შოთა.

— შოთას უცხოელი მეგობარი ფეხბურთელებიდან საქართველოს ყველაზე უკეთ უნდა იცნობდეთ — თქვენ ხომ მასთან თბილისშიც იყავით სტუმრად. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— მხოლოდ თბილისში ვიყავი და ამიტომ მთლიანად საქართველოზე ვერ ვილაპარაკებ. თბილისი კი... დიდი და ულამაზესი ქალაქია, ბევრი ისტორიული ძეგლებია და ჩანს, რომ ქართველებს დიდი რელიგიური კულტურა გაქვთ. თითქმის მთელი მსოფლიო მოვლილი მაქვს, მაგრამ თბილისში რომ დახვეწილი არქიტექტურაა, ასეთი იშვიათად მინახავს. ხალხიც ძალიან თბილი და უშუალოა. მიხარია, რომ 3 ივნისს კიდევ ვნახავ თბილისს და იმედაა, ეს ჩემი ბოლო ვიზიტი არ იქნება.

— კარიერა ყატარში დაასრულეთ და ახლაც მანდ ხართ. რას საქმიანობთ?

— ჩემი ბიზნესი მაქვს. ყატარში ოთხი წლის წინ ჩამოვედი და ერთ წელიწადზე ოდნავ მეტი ვითამაშე. აქ ადაპტაცია იოლად გავიარე.

— მწვრთნელობაზე არ ფიქრობთ?

— ჯერჯერობით, არა. მწვრთნელობა მუდმივ მუშაობას და მტკიცე ნერვებს მოითხოვს. მე კი მინდა, დიდი დრო დაუთმო ოჯახს, საყვარელ ადამიანებთან მოგზაურობას.

— თქვენი ტყუპისცალი ფრანკი რას საქმიანობს?

— „აიაქსის“ ახალგაზრდულ გუნდს წვრთნის. კარგად მუშაობს და ფიქრობს, მშვენიერი მწვრთნელი

დადგება. ამ ზაფხულს ფრანკი დანის ერთ-ერთ სახელიან გუნდში დაინიშნება მთავარ მწვრთნელად.

— რადგან მწვრთნელობაზე ულაპარაკობთ, შოთა არველაძე როგორ წარმოგიდგენიათ ამ ამბულაში?

— ვიცი, რომ შოთა მწვრთნელობას აპირებს. მას ყველა მონაცემები აქვს საამისოდ.

— თქვენ ვისთანაც გიმუშავიათ, საუკეთესო მწვრთნელი ლუის ვან გაალი იყო?

— დიახ. ვან გაალი ფეხბურთელებისთვის მამასავით იყო. ჰკითხეთ შოთას, ისიც ამას გეტყვით. ვან გაალი-პიროვნებაც ისეთივე დიდია, როგორც ვან გაალი-მწვრთნელი.

— დღეს ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო სპეციალისტად?

— ძნელი სათქმელია. ფეხბურთი ყოველწლიურად იცვლება, ბევრი სიახლე შემოდის და ასაკოვანი მწვრთნელები ზოგჯერ ფეხს ვერ უწყობენ ამას. ვფიქრობ, უფრო ახალგაზრდა სპეციალისტები იტყვიან სათქმელს, მაგალითად, მარკო ვან ბასტენი.

— ვან ბასტენის ჰოლანდიისგან რას უნდა ველოდეთ ევრო-2008-ზე?

— ის მშვენიერი მწვრთნელია. ჰოლანდიას მსოფლიოს და ევროპის ყველა ჩემპიონატზე მძლავრი გუნდი ჰყავდა, მაგრამ რაღაც გვაკლდებოდა და ეს რაღაც ვერც ერთმა მწვრთნელმა ვერ ამოხსნა. ვან ბასტენის ნაკრები ტრანზიტული სახეა, ამ ტრანზიტებს კი გამოცდილმა ფეხბურთელებმა უნდა უხელმძღვანელონ — რუუდ ვან ნისტელროიმ, არიენ რობენმა, რობინ ვან პერსიმ.

— და ეს საქმარისია, რომ ჰოლანდია ევროპის ჩემპიონი გახდეს?

— რა თქმა უნდა, არა. ევროპის ჩემპიონობა ჰოლანდიის გარდა, კიდევ 15 ნაკრებს უნდა და ყველაფერი სურვილისამებრ არ არის. თუმცა ჰოლანდიას შეუძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა.

— ფავორიტად რომელი ნაკრები მიგაჩნიათ?

— ესპანეთი.

— რაულის გარეშე?

— მარტო რაულია ესპანეთი?! შესაძლოა, კარგიც იყოს, რომ რაული ნაკრებში არაა, რადგან ვინ იცის, გუნდი მასზე აწყობილიყო და ამას ცუდი შედეგი მოეტანა. სამაგიეროდ, ესპანეთს ჰყავს დავიდ ვილია — ბრწყინვალე ფეხბურთელი.

— სიურპრიზს რომელი ნაკრებიდან ელით?

— მსოფლიოს ჩემპიონატისგან განსხვავებით ევროპის ჩემპიონატზე სიურპრიზები ნაკლებად მოსალოდნელია. აქ ყველამ იცის, რომელი გუნდი რა გაქანებისაა. ისე კი, ნებისმიერი ნაკრები შეიძლება წავიდეს იმაზე შორს, რასაც ვლიან.

— თქვენი დროინდელი „აიაქსი“ გავიხსენოთ. 1995 წელს ძალიან ახალგაზრდული გუნდით მოიგეთ ჩემპიონთა ლიგა, ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი 19 წლისაც კი არ იყო. როგორ მოხდა ეს, რის ხარჯზე?

— ნვანკო კანუ, პატრიკ კლუივერტი, კლარენს ზეედორფი და სხვები მაშინ ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ, მაგრამ ძალიან ყოჩაღად თამაშობდნენ. კლასის ხარჯზე მოვიგეთ, „აიაქსი“ ბრწყინვალე გუნდი იყო. სხვათა შორის, როცა შოთა არველაძე და მიქაელ ლაუდრუპი იყვნენ, მაშინდელი „აიაქსიც“ ფანტასტიკურად თამაშობდა, ლიგის მომგებ „აიაქსს“ არ ჩამოუვარდებოდა შემადგენლობით, მაგრამ, სამწუხაროდ, ევროპაში ტიტულები ვერ ავიდეთ.

— „აიაქსის“ გარდა, სხვა კლუბებშიც ვითამაშია. რომელი იყო ყველაზე ძვირფასი შენთვის?

— უდავოდ „აიაქსი“.

— დიდი მადლობა და დაგემშვიდობებით...

— ასევე მადლობა. სიამოვნებით მოვიდვარ 3 ივნისს ულამაზეს ქალაქში, სადაც ჩემს საუკეთესო მეგობარს ვნახავ...

ილია ნანოგაშვილი
ბაჩო სვანიძე



ტოტალიზატორი

1X2 აფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი წვეფი შედეგი კოფეტა სისტ

- თავი გამანებე, რა! ისედაც გიყსა ვგავარ, ტო!
- რა იყო, ძმაო, გატუზო დაგვეჯახა?
- გატუზო კი არა, ბრეგოვიჩმა ერთი კილო ფული წამაგებინა...
- „ივანჩჩა გორიცა“ გამივია, „ნოვა გორიცა“ და „დრაგა პტუიც“. ეგ ბრეგოვიჩი სლოვენის გუნდია თუ ზორვატის? რა გეწერა?
- ხო ვითხარი, შემეშვი-მეთქი, ტო, ნუ მეკაიფები, თორე იმდენს გირტყამ, რომ გონზე მოსასვლელად დამატებითი დრო დაგჭირდება...
- შენ, ძმაო, ტერისავით სადმე ფეხი ხო არ გაგიცურდა? პროსტა გკითხე, რა მოხდა-მეთქი...
- რა და, შაბათს „ლიუბეკი“ — „უნინის“ ანგარიში გამოვიცანი. იმენა ცვეტში ვიცოდი, რომ 3:7 დამთავრდებოდა და დიდი ფოსტა მოვხსენი — ათასი ლარი...
- მერე, რაღა გატირებს?
- ავიღე ათასი ლარი და ტოტალიზატორში დავრჩი, ფუტბოლებს ენახავ და აღარ გავმაზავ-მეთქი, მარა, ხო იცი, ეშმაკი ბეჭემივით პასს რო ჩავაწოდებს... ფუტბოლები რო დამთავრდა, ევროვიზიას ვუყურე და ისიც რო მორჩა, გორან ბრეგოვიჩის ორკესტრი გაიჩითა.
- მერე?
- ერთი მასტი შემომჩინდა, ხელზე გავმაზოთო, ბრეგოვიჩი ორნახევარზე მეტს იმღერებს თუ ნაკლებსო და ნაკლებზე დავღეჭი.
- და...
- რა ვიცი, ტო, ადრე ორზე მეტს არ მღეროდა ევეთ პრანდნიკებზე და ეტყობა, მთვრალი იყო. მესამეც იმღერა და ათასი ლარი წავაგე...
- ამხელა კაცი ხარ, ძმაო. ევროვიზიაზე რო ჩაწოხილი ამბავია, არ იცი? ეგ პონტი მაყუთის მოსატყუარადაა გაკეთებული. მე უკრანის მოგებაზე ვიდექი, მარა ხო ნახე, ევეც რო გატეხეს? დივაცმა ბურთი რო გადააგლო დარბაზში, მაშინ მოვწვი, მეთქი, ეს უკვე ნიშანია, რო რუსები იგებენ.
- რა შედივაცება, ტო, ათასი ლარი ამფუტქენეს. დღეს ან ხვალ ფული უნდა მოვიგო.
- მე ვეტყვი მაგარ ორიანს. ხვალე რუსეთ-სერბეთის ამხანაგურია და უეჭველი სერბები მოიგებენ. სერბეთმა ხო მისცა ევროვიზია, პოდა, ხვალ რუსები დაუწვებან.

კაუზი კოვხარია

ჩემი ბილეთი:

001 ინგლისი — აშშ

შედეგი: მეზუთე წუთზე მსაჯი დამთქნარებს

სავარაუდო მოგება: ნატოში შესვლა

მომდევნო აფსონებში შეიტყობთ, რატომ გადავიდა

„ჰამ კამი“ 4-4-2 სქემიდან 1-1-9-ზე.

114140 *

ფეხბურთი გაგიჟდა



თანამდებობიდან მოხსნით გაოგნებულმა ავრამ გრანტმა ინგლისის რამდენიმე საათში დატოვა. მოგესვენებთ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ხელმძღვანელობით „ჩელსი“ ინგლისის პრემიერლიგაში მეორე ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც მხოლოდ უბედობის გამო ვერ გაიმარჯვა, ისრაელის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ლონდონური კლუბის მენეჯერად რომან აბრამოვიჩმა პოსტზე არ დატოვა.

„პითროუს“ აეროპორტიდან თელ ავივისკენ გასაღებელი გრანტი (რომელსაც, სავარაუდოდ, თანამდებობიდან გაშვებისთვის კომპენსაციის სახით 5 მილიონი გირვანჯა ეკუთვნის) ჩვეულებისამებრ მოღუშული

გახლდათ. გზად დადგენებულ ჟურნალისტებს მან არცერთ კითხვაზე არ გასცა პასუხი.

გრანტის თანამდებობიდან მოხსნა „სანთან“ საუბარში პრემიერლიგის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, რომლის ვინაობასაც ვაზუთი არ გვიმხელს, ასე შეაფასა:

„ფეხბურთში სიგიჟე სულ უფრო და უფრო მატულობს. ავრამ გრანტის მოხსნა წარმატებული სეზონის შემდეგ სხვა მწვრთნელებზეც საშინლად იმოქმედებს“.

ებრაელი სპეციალისტის მეგობრებმა კი თქვეს, რომ აბრამოვიჩის გადაწყვეტილებამ ის, უბრალოდ, დაზაფრა.

როგორც ცნობილი გახდა, აბრა-

მოვიჩს გრანტი შაბათს თავის ლონდონურ სასახლეში დაუბარებია. შეხვედრა, რომელიც 2 საათზე მეტხანს გრძელდებოდა, თურმე, მნიშვნელოვანწილად მწვრთნელის მონოლოგისგან შედგებოდა. როგორც მავანმა დამსწრემ თქვა, ის მეპატრონეს არწმუნებდა, თუ რატომ უნდა გაეგრძელებინა მუშობა.

„მას სწამდა, რომ გასული სეზონის განმავლობაში დიდი სამუშაო გასწია და რომანი ამას, როგორც მეგობარი, დაუფასებდა — თქვა „მავანმა“ — მაგრამ ახლა, როდესაც იმედი გაუქარწყლდა, ის ძალიან გულნატკენია“.

წარსულში ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი ჯიმი გრევისი: „ავრამის თანამდებობიდან მოხსნა თანამედროვე ფეხბურთის კარგად ახასიათებს. დღეს წარმატება დაუყოვნებლივ სჭირდებათ“.

ინგლისის ნაკრების ყოფილი მცველი გერი მბატე: „გრანტისადმი დიდი სიმპატიით ვარ განმსჯვალული მან „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგისა და „ქარლინგის“ თასის ფინალებამდე მიიყვანა, ხოლო პრემიერლიგაში მეორეზე გავიდა, თუმცა „ჩელსი“ ის გუნდია, სადაც მხოლოდ პირველობა ითვლება“.

როგორც ამბობენ, ახლა აბრამოვიჩის ფავორიტი „ბარსელონადან“ წასული ფრანკ რაიკარდია.

ბაჰუსა კილია



ჰილდებრანდი ლიოვს ბილდით გაუბრაზდა

„პალენსიას“ მეკარე ტიმო ჰილდებრანდი იოახიმ ლიოვზე ნაწყენია, რადგან ბუნდესმწვრთნელმა ნაკრებში არ უხმო და ევრო 2008-ის მიღმა დატოვა.

გერმანელთა თავკაცმა იენს ლემანი, „ჰანოვერიდან“ რობერტ ენკე და „ლევერკუზენიდან“ რენე ადლერი გამოიძახა, რომელსაც ეროვნულ გუნდში ერთხელაც არ უთამაშია.

ჰილდებრანდი ყველაზე მეტად იმან გააბრაზა, რომ იოახიმ ლიოვმა პირადად არ იკადრა მასთან საუბარი და მეკარეების მწვრთნელის, ანდრეას კიოპკეს პირით შეუთვალა — ნაკრებში შენი ადგილი არ არისო.

„მან ჩემთან პირისპირ ლაპარაკი არ ისურვა და ეს, უპირველეს ყოვლისა, უპატივცემულობაა — უთხრა ვალენსიელმა „ბილდს“ — დიდი ხნის განმავლობაში მეორე მეკარე ვიყავი ოლივერ კანის შემდეგ და ალბათ უფრო მეტად დაფასებას ვიმსახურებდი. ძალიან გაბრაზებული, ნაწყენი, გაღიზიანებული და იმავდროულად იმედგაცრუებული ვარ“.

ტიმო ჰილდებრანდმა ნაკრების მწვრთნელს სელექცია დაუწუნა და განაცხადა, რომ იენს ლემანი პირველ ნომრობას არ იმსახურებს. მან მთელი სეზონის განმავლობაში „არსენალში“ მხოლოდ ხუთ-ექვს შეხვედრაში ითამაშაო.

„ამ სეზონში 40 მატჩი ვითამაშე და ლიოვის გამოძახებულ მეკარეთაგან ჩემთან ახლოს ერთიც ვერ მოვა. ვოლკიპერს კი აუცილებლად სჭირდება პრაქტიკა. მე მაქვს პირველი ნომერია“ — დაიჩიულა ჰილდებრანდმა.

მათა ხუციფილი

ინესა მოგაპალი არ იცის

„არსენალისა“ და გერმანიის ნაკრების მეკარე იენს ლემანმა ჯერ არ იცის, დაასრულებს თუ არა კარიერას ევრო 2008-ის შემდეგ. 38 წლის ლემანს „მეთოფებთან“ კონტრაქტი ივლისში უმთავრდება. თვითონ თამაშის გაგრძელება სურს, მაგრამ ეს მასზე არაა დამოკიდებული, რადგან მას უკვე ორმოცს მიუკაჟუნა და მისი მსურველი კლუბიც არ ჩანს.

„ამჟამად ზუსტად მხოლოდ ერთი რამ ვიცი — თქვა ლემანმა — 1 ივლისს „არსენალიდან“ თავისუფალი ვიქნები. იმ მომენტიდან უკლებლივ და უსაქმოდ დავრჩები“.

გერმანელი მეკარის გადაბირება ზამთარში „შტუტგარტს“ და „დორ-

ტმუნდსაც“ სურდათ, მაგრამ მერე მათი ინტერესი განელდა.

„შტუტგარტი“ ძალიან კარგი გუნდია — განაცხადა ლემანმა — შემტევე ფეხბურთის თამაშობს და ჭკვიანი მწვრთნელი ჰყავს. კლუბის დირექტორს ჰორსტ ჰელდტსაც 20 წელია ვიცნობ და ეს ყველაფერი საკმაო საფუძველია „შტუტგარტში“ გადასვლისთვის. ჯერჯერობით გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობს. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ 25 ივლისამდე დასვენებას ვაპირებ და შემდეგ ვიფიქრებ, გავაგრძელო თუ არა კარიერა. საჩქარო და სანერვიულო არაფერი მაქვს“.

მათა ხუციფილი





ფერარი განსაკუთრებულს

თანამდებობიდან რომ მოხსნეს, ჩელსი პარბორში, „კონრად ლტელის“ წინ, თეშის ნაპირთან მდგომმა განსაკუთრებულმა გამოსათხოვარი სიტყვები თქვა. მაშინ, „სანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, მურინიუმ განაცხადა, რომ „ჩელსისი“ გატარებული დროით მეტად კმაყოფილია და, მართალია, მიდის, არ არის გამორიცხული, ერთ მშვენიერ დღეს ისევ ლურჯების მწვრთნელად დაბრუნდეს.

ჟურნალისტი იან მაკგარი ივონებს, როგორ ჩამოართვა პორტუგალიელმა ხელი, თვალში ვაჟაკურად ჩახედა და უთხრა:

„ჩვე, დადგება დღე როდესაც ისევ „ჩელსის“ მწვრთნელი გავხდები“.

არადა, მაშინ ყველა დარწმუნებული იყო, რომ მურინიუმს დასავლეთ ლონდონში მეტად ვეღარ ნახავდნენ. რომან აბრამოვიჩთან კონფლიქტისა და მის ნაცვლად ავრამ გრანტის მიყვანის შემდეგ უკან დასაბრუნებელი გზა არ ჩანდა.

თუმცა ფეხბურთი, როგორც ზემოსწევილი იან მაკგარი ამბობს,

ცხოვრებაზე უფრო უცნაური რამ გახლავთ. თანამდებობიდან მოხსნამდე ერთი კვირით ადრე მურინიუმ აბრამოვიჩის იშვიათი „ფერარის“ შექენაში დახმარება სთხოვა. ეს გახლავთ 612 Scaglietti, „ფერარის“ მარკის ერთადერთი ოთხადგილიანი მანქანა, რომელიც მკურნელის მანქანადაა შეიქმნობო — ეს მანქანა ცნობილი იტალიურმა კომპანიამ თავის 60-წლიან იუბილეს მიუძღვნა და სულ 60 ცალი გამოუმყა.

ამასობაში მურინიუმ სამსახურიდან გაუშვეს, მაგრამ ვაიდა კიდევ ორიოდ დღე და მან „ჩელსის“ დირექტორ იუჯინ ტენენბაუმს დაურეკა, რომანმა მანქანა უკვე თუ მიპოვნა, ვიყიდო. მანქანა ნაპოვნი არ იყო.

მაგრამ აი, ვაიდა ხუთი თვე და ტენენბაუმმა მურინიუმს პორტუგალიაში დაურეკა: ჟოზე, რომანისგან საჩუქარი მიიღე. და ავრამ გრანტის „ქარლინგის თასის“ ფინალში დამარცხებიდან სამი დღის შემდეგ ჟოზე მურინიუმ შინ 2-მილიონგი-

რვანქანი „ფერარი“ მიიღო, რომელსაც ფირფიტა ეკრა ზედ ამოტვიფრული წარწერით: განსაკუთრებული.

ცნობილია, რომ დასაჩუქრებულმა მურინიუმ აბრამოვიჩის მადლობის სათქმელად დაურეკა და ამ საუბრისას, სიცხელ-სიცხელში, ჩუქოტკის გუბერნატორმა მწვრთნელს ჰკითხა: „როდის უნდა დაბრუნდე?“

„სანისთვის“ ცნობილი გახდა ისიც, რომ აბრამოვიჩი და მურინიუ მას მერე რეგულარულად უკავშირდებიან ერთმანეთს, ხოლო ბოლო დღეებში სატელეფონო ზარებმა ერთიორად იმატა. საქმეში ჩახედული ადამიანები ამბობენ, რომ „ჩელსის“ მაპატრონე დარწმუნდა, მწვრთნელად დამყოლი ადამიანის დანიშვნა კატასტროფაა. და, ალბათ, ამასთან იყო დაკავშირებული ისიც, რომ ის მთელი სეზონის განმავლობაში, თითქოს დემონსტრაციულად, „სტუმფორდ ბრიჯზე“ ჯდომას გელფრენდ დარია უუკოვასთან ნებივრობას ამჯობინებდა...

აპუნა კელია

ბარსა და მილანი ფასზე ვერ თანხმდებიან



„ბარსელონასა“ და „მილანს“ შორის მოლაპარაკებები გრძელდება. „არსენალიდან“ ფლამინის ყიდვის შემდეგ, იტალიელებმა ყურადღება პრიმერადივიზიონის გრანდს მიაპყრეს და ახლა იქაურებს რონალდინიოსა და დამბროლაზე ევაკუბებიან.

„როსონერის“ თავკაცობამ „ბარ-

სას“ ოციციკლოვად უკვე მიმართა, „მილანი“ დამბროლაში 7, ხოლო ბრაზილიელში 15 მილიონი ევროს გადახდას აპირებს. კატალონიაში ვიზიტად გახლდათ ადრიანო გალიანი, რომელმაც ამ სატრანსფერო ოპერაციათა ცალ-ცალკე მოგვარების სურვილი გამოთქვა, თუმცა ხუან ლაპორტას კლუბში ხსენებულ იდეაზე თანხმობა ვერ მიიღო.

ახლა „ბარსელონას“ პირობებიც ენახით. კატალონიელები რონის და დამბროლას ერთად 50 მილიონ ევროდ აფასებენ — აქედან „კიჯას“ წილი 40 მილიონია, ხოლო იტალიელის — 10. „მილანი“ კი მზადაა, ორივე ფეხბურთელში მაქსიმუმ 22 მილიონი ევრო გადაიხადოს, რის გამოც გრანდთა შორის მოლაპარაკებები ჭიანჭურდება. თან იმას თუ გავისხვებით, რონალდინიომ გასული სეზონი რა უსახურად ჩამთავრა, „კიჯაზე“ აპენინელთა ინტერესების შენე-

ლებაც იოლად ასახსნელი გახდება. რონის პორნიზონტზე კი მარტო „მილანი“ არ მოჩანს. ოკეანისგადმელი ვარსკვლავის მძა და საფეხბურთო აგენტები რობერტო ლე ასისი ტილიანდს გაემზავრა, რათა იქაურ მილიარდერი და ინგლისური „მანჩესტერ სიტის“ პატრონი ტაქსინ შინავატრასთან რონალდინიოს სავარაუდო ტრანსფერზე მოეთათობინა.

რონალდინიო შინავატრასთან კვირაში 250 ათას ევროს ითხოვს გასამრჯელოდ, რაც ბრაზილიელს მსოფლიოში ერთ-ერთ მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქცევს. აპრილში რობერტო ლე ასისის მანჩესტერში იყო, იქაური კლუბის საპრემიერლიგო შეხვედრას დაესწრო და თავკაცებთანაც ილაპარა. თუმცა „სიტი“ „კიჯას“ ხელში ასე იოლად ვერ ჩაიგდებს, რონიზე ხომ სხვა გრანდებიც ნადირობენ.

ლადო სოხიანი

ფერბი რეალს ტყავს აკრობს

„მანჩესტერ იუნაიტილი“ მადრიდიდან კრიშტიანუ რონალდუს თაობაზე სატრანსფერო შემოთავაზებას ელოდება და „რეალს“ საპასუხოდ გვარიან შოკს უმზადებს. „მარკას“ ვერსიით, ინგლისელები თავიანთ მეგავარსკვლავს მხოლოდ იმ შემთხვევაში განმორდებათ, თუ სამეფო გუნდი 50 მილიონ ევროს გადაიხდის და პლუს ამას, რობინიოს, სერხიო რამოსსა და მაჰმადლუ დიარას გაგზავნის „ოლდ ტრეფორდზე“.

ბრიტანელთა თავხედური მოთხოვნა (ამას სხვა ადარაფერი შეიძლება ეწოდოს) ერთ მიზანს ემსახურება — „იუნაიტიდმა“ კრიშტიანუსადმი „რეალის“ დიდი სიყვარული იცის, მიეხსენება, თავად ფეხბურთელსაც რომ გულით უნდა „სანტიაგო ბერნაბეზე“ გადაბარგება და ყველაფერს აკეთებს რონალდუს ინგლისში გასაჩერებლად სხვა საქმეა, „რეალი“ ამას რანაირად შეხედავს და სერ ალექს ფერგიუსონის ბანაკის შემოთავაზებულ თამაშის წესებს თუ აჰყვება.

წესით, არ უნდა აჰყვეს. ზემოხ-



სენებულ ფეხბურთელთა სამეფული და 50 მილიონი ევრო ერთად, სრული 140 მილიონია — სატრანსფერო ბაზარზე რობინიოს, სერხიო რამოსის და დიარას ფასი ხომ 90 მილიონი ევროა. მადრიდში კრიშტიანუ კი უნდათ, მაგრამ არა ამ ფასად, რა თქმა უნდა.

პენალტის დარდი



საზრანგეთის ნაკრების მწვრთნელი რამონ დომენეკი ნიკოლანელკას ფსიქოლოგიურ მდგომარეობას დაუფიქრებია და რამდენიმე დღეში გადაწყვეტს, წაიყვანოს თუ არა ფორვარდს ევრო 2008-ზე.

ანელკა ნაკრების 30-კაციან, გაფართოებულ სიაშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ შესაძლოა, 23-ში ვერ მოხვდეს.

ფორვარდმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში პენალტი ვერ გაიტანა და დომენეკსაც მისი მდგომარეობა ამიტომ აღეღვება.

ღვიდ ტრეხუგესგან განსხვავებით, მწვრთნელი ანელკას კარგი თვალთ უყურებს, მაგრამ თუ დაასკვნა, რომ ვერგატანა ილმა II-მეტრია ანმა ფეხბურთელი დათრგუნა, ალ-

ბათ ნაკრებს მიღმა დატოვებს.

„ამ საკითხზე ძალიან ბევრს ვფიქრობ — განაცხადა დომენეკმა — როგორ იმოქმედა ანელკაზე ჩემპიონთა ლიგის ფინალში მარცხმა? არ ვიცი, თუმცა ვუყურებ, ვაკვირდები მას ვარჯიშებზე, ველი, რა მოხდება და მალე დაივიწყებს თუ არა. თანაგუნდელებზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. ისინი გვერდში უნდა ამოუდგნენ და სტრესი გადაატანონ. ცხადია, ასეთ მომენტში პენალტის გაფუჭება ადამიანზე დამორგუნველად მოქმედებს. მე თანაგუნდრებში მას, რადგან ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა. ვიგზმა გაიტანა და მასაც აუცილებლად უნდა გაეიტანა“.

გაბა ხუციშვილი

არგენტინა
კლასუსურა. XVI ტური
მატუიაანბი 4 ინაიიინინა
სან ლორიანო 2:1 კოლონი

მექსიკა
კლასუსურა. კლიი ოფი
12 ზინალი. საასუსრო მატჩი
სანტოსი 2:2 მონტარიი (1:1)

ბრაზილია
სერიია A. III ტური
აბლ ბარანასა 4 აბლ. მინიოო
პოტაფომო 1:1 მასკუ და გაბა
პორტუგალია 1:1 პალმირასი

ინლანდი
1 დივიზიონი. IV ტური
ჰაფნარფორდური 2:0 რიიპიჰიკი


რამდენი დაბიჯდება ბაიერნის მომავლად



საგარეო მაისურა
35 ევრო



გამოსასვლელი მაისურა
28 ევრო



დროშა
5 ევრო



საფერფლე
6 ევრო



ჭიქა
8 ევრო



საშინაო მაისურა
50 ევრო



ჩემპიონატის შორტი
30 ევრო



ბრელოკი
8 ევრო



ქამარი
20 ევრო



ვიმპელი
5 ევრო




ბურთი
16 ევრო



გეტრები
8 ევრო



ჩუსტები
6 ევრო



ქუდი
15 ევრო



ბრასლეტი
30 ევრო



სანთებელა
5 ევრო



საევროთასო მაისურა
40 ევრო



საათი
50 ევრო



ყელსაბამი
30 ევრო



კეპი
18 ევრო



მეკარის ხელთათმანები
12 ევრო



საევროთასო შორტი შორტი
18 ევრო



ხალათი
46 ევრო



ბეჭედი
30 ევრო



საფულე
35 ევრო



ლოგოს სტიკერი
2 ევრო



საევროთასო გეტრები
8 ევრო



შალსტუხი
30 ევრო



სასუვენირე მაისურა
10 ევრო



შარფი
30 ევრო



სარგბიელი & კროკო

სარგბიელი კროკო

		1	X	2	1-X	1-2	X-2	
სლოვაკეთი. I ლობა 27 მაისი								
19:30	263	ტრენინი-ზღატი მორავცე	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
19:30	264	კოშინი-ნიტრა	2.00	3.10	3.45	1.21	1.26	1.63
19:30	265	რუჟომბეროვი-ბ ბისტრიცა	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
19:30	266	ვილანა-დუბნიცა	1.30	4.40	8.50	1.00	1.12	2.89
19:30	267	სლოვაინი-ბინეცი	1.35	4.40	7.00	1.03	1.13	2.70
შვედეთი. სუპერეტა 27 მაისი								
21:00	79	პეკენი-იონკოპინგი	1.45	3.90	6.30	1.05	1.17	2.40
ირლანდია. პრემიერ დივიზიონი 27 მაისი								
23:00	99	სტ.პატრიკი-ბოკემიანი	2.30	3.10	3.00	1.32	1.30	1.52
22:45	100	დუბლინი-ბრუი	2.55	3.10	2.65	1.39	1.29	1.42
22:45	101	კოკი-შეფერდი	1.60	3.40	5.30	1.08	1.22	2.07
22:45	102	დროგედა-სლიგო	1.70	3.30	4.75	1.12	1.25	1.94
23:00	103	ფინ პარპსი-დერბი	4.30	3.10	1.85	1.80	1.29	1.15
უეფა. ეჩ (19) შესარჩევი მატჩები 27 მაისი								
13:00	273	სლოვაკეთი19-გერმანია19	3.60	3.20	1.85	1.69	1.22	1.17
13:00	274	ხორვატია19-ალბანეთი19(6)	1.60	3.40	4.70	1.08	1.19	1.97
ბავარიაში. აშხანაგური მატჩები 27 მაისი								
23:00	146	ხაფრანგეთი-ეკვადორი	1.25	5.00	9.50	1.00	1.10	3.27
14:20	147	იაპონია-პარაგვაი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
19:45	149	გერმანია-ბელარუსი	1.12	6.00	17.00	1.00	1.05	4.43
22:30	151	ჩეხეთი-ლიტვა	1.15	5.70	13.00	1.00	1.05	3.96
22:30	152	ავსტრია-ნიგერია	2.55	3.00	2.55	1.37	1.27	1.37
28 მაისი								
21:00	148	რუსეთი-სერბეთი 6	1.65	3.60	4.60	1.13	1.21	2.01
22:00	154	ნორვეგია-ურუგვაი	2.10	3.20	3.25	1.26	1.27	1.61
22:45	155	ინგლისი-აშშ	1.60	3.60	5.70	1.10	1.24	2.20
23:30	156	ისლანდია-უელსი	2.45	3.10	2.70	1.36	1.28	1.44
29 მაისი								
22:00	157	პოლანდია-დანია	1.75	3.20	4.50	1.13	1.25	1.87
21:00	158	თურქეთი-ფინეთი	1.67	3.30	4.70	1.10	1.23	1.93
23:00	159	ირლანდია-კოლუმბია	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
30 მაისი								
20:00	160	ლატვია-ესტონეთი	1.50	3.20	4.50	1.02	1.12	1.87
19:30	161	ჩეხეთი-შოტლანდია	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
22:30	162	ავსტრია-მალტა	1.25	4.90	10.00	1.00	1.11	3.28
17:00	163	შვეიცარია-ლიხტენშტეინი	1.06	7.50	18.00	1.00	1.00	5.29
23:00	164	იტალია-ნეგოპოლი	1.40	3.70	7.20	1.01	1.17	2.44

		ჩიგურტი. კატეგორია Roland Garros 27 მაისი						
13:00	197	გოვორცოვა-ფედაკი	1.30	3.00	
13:00	198	დემენტევა-დუშევიჩა	1.06	6.00	
13:00	199	დომინიკოვიჩი-დუ ლოს რიოსი	1.40	2.30	
13:00	200	ზონარიოვა-ფორესი	1.02	9.00	
13:00	202	კოტოვა-მოსკოვი	1.50	2.20	
13:00	203	კინგი-ხაყი	1.15	4.00	
13:00	206	კლებინოვა-ტანასუგარნი	1.15	4.00	
13:00	208	კრაჩევი-მამინი	1.45	2.30	
13:00	209	კუშტევა-ნაკამურა	1.02	9.00	
13:00	210	მატიკი-ბრენელი	1.15	4.00	
13:00	211	მუნდანი გარკესი-მარტინეს სანჩესი	1.10	5.50	
13:00	212	ოლარუკოვი-ალორო	1.60	2.00	
13:00	213	პეკერი-სტოპური	1.12	5.00	
13:00	214	პეტროვა-რემი	1.30	3.00	
13:00	215	პორტოვა-ჩან-ოუ ვი	1.35	2.60	
13:00	217	საფინა-კ ბონდარენკო	1.10	5.50	
13:00	218	სეიაზენე-კრეტიასი	1.15	4.00	
13:00	219	სუკიაში-კუდრაგეცვა	1.30	2.85	
13:00	222	შარბაძე-როდინი	1.01	12.00	
13:00	223	შპრემი-რიბარცოვა	1.60	2.00	
13:00	275	ვონინიკი-იკიმოვა	1.05	5.80	
13:00	276	ივანოვიჩი-საფაროვა	1.10	4.50	
13:00	277	ს ფელაშინი-მატ იოპანსონი	1.05	10.00	
13:00	278	ცობოლაკოვა-სეკიერა	1.05	

		ჩიგურტი. კატეგორია Roland Garros 27 მაისი						
13:00	246	ჯინეფრა-დ ინეტი	1.40	2.60	
13:00	247	კალერი-ფიში	1.12	5.00	
13:00	248	კარლოვიჩი-ფალა	1.15	4.00	
13:00	249	ლოუპინი-პროდონი	1.15	4.00	
13:00	250	მელხორე-დუზაკი	1.40	2.60	
13:00	252	მონფილესი-კლემანი	1.30	3.00	
13:00	254	სანტორი-ფ შაიერი	1.45	2.40	
13:00	255	საფინი-დონარდი	1.15	4.00	
13:00	257	დ ფერერი-დარსინი	1.03	7.50	
13:00	258	ფერერი-დანელი	1.02	9.00	
13:00	259	ხოუსტი-მარტი	1.25	3.10	
13:00	261	შტეპანი-ნიშინი	1.50	2.30	
13:00	279	ანდრეევი-სტარაჩე	1.35	2.70	
13:00	280	ბენეტი-სპიდი	1.10	4.00	
13:00	281	ვანიკი-ზუტა გულუნგი	1.35	2.50	
13:00	282	დავუდევი-ოპანსონი	1.03	8.00	
13:00	283	ჟურჯულიანი-მანარიანი	1.30	2.70	
13:00	284	კაპდვილე-ზერევი	1.40	2.30	
13:00	285	მონაი-სოდერლინი	1.80	1.70	
13:00	286	ხორნა-ჯენიჩი	1.20	3.20	
28 მაისი								
13:00	287	ალმადრო-დეკუ	1.05	6.00	
13:00	288	ჯ ბლევი-გულბისი	1.20	3.20	
13:00	289	ფლორინი-ლოპეს ხაენი	1.01	10.00	
13:00	290	ე მიურეტი-აბუსუსი	1.30	2.30	
13:00	291	ნადანდინი-ჩარდი	1.03	8.00	

I ტაივის შუდევი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10079	პეკენი-იონკოპინგი	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60
10146	ხაფრანგეთი-ეკვადორი	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10147	იაპონია-პარაგვაი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10148	რუსეთი-სერბეთი 6	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10152	ავსტრია-ნიგერია	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10154	ნორვეგია-ურუგვაი	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10155	ინგლისი-აშშ	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10156	ისლანდია-უელსი	2.85	2.00	3.10	1.17	1.48	1.21
10157	პოლანდია-დანია	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10158	თურქეთი-ფინეთი	2.05	2.10	5.30	1.03	1.47	1.50
10159	ირლანდია-კოლუმბია	2.45	2.00	3.70	1.10	1.47	1.29

I ტაიპი/პირითაღი ღრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11079	პეკენი-იონკოპინგი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11146	ხაფრანგეთი-ეკვადორი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11147	იაპონია-პარაგვაი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11148	რუსეთი-სერბეთი 6	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11152	ავსტრია-ნიგერია	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11154	ნორვეგია-ურუგვაი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11155	ინგლისი-აშშ	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11156	ისლანდია-უელსი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11157	პოლანდია-დანია	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11158	თურქეთი-ფინეთი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11159	ირლანდია-კოლუმბია	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30


რამდენი გოლი ბავა მატჩში (პირითაღი ღრო) (2.5-ზე ნაკლები - 2.5-ზე მეტი)		ნაკ.	მეტ.
12146	ხაფრანგეთი-ეკვადორი	2.00	1.60
12148	რუსეთი-სერბეთი 6	1.70	1.90
12152	ავსტრია-ნიგერია	1.70	1.90
12154	ნორვეგია-ურუგვაი	1.70	1.90
12155	ინგლისი-აშშ	1.90	1.70
12156	ისლანდია-უელსი	1.70	1.90
12157	პოლანდია-დანია	1.90	1.70
12158	თურქეთი-ფინეთი	1.70	1.90
12159	ირლანდია-კოლუმბია	1.70	1.90

ბავა მატჩში თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (პირითაღი ღრო)		ნაკ.	მეტ.
13147	იაპონია-პარაგვაი	1.70	1.90
13148	რუსეთი-სერბეთი 6	1.70	1.90
13152	ავსტრია-ნიგერია	1.70	1.90
13154	ნორვეგია-ურუგვაი	1.70	1.90
13155	ინგლისი-აშშ	1.70	1.90
13156	ისლანდია-უელსი	1.70	1.90
13157	პოლანდია-დანია	1.70	1.90
13158	თურქეთი-ფინეთი	1.70	1.90
13159	ირლანდია-კოლუმბია	1.70	1.90

გოლი:ფყვილი-10უ კენტი-2 (0:0 ითვლება ფყვილად)			
17079	პეკენი-იონკოპინგი	1.85	1.95
17146	ხაფრანგეთი-ეკვადორი	1.85	1.95
17147	იაპონია-პარაგვაი	1.85	1.95
17148	რუსეთი-სერბეთი 6	1.85	1.95
17152	ავსტრია-ნიგერია	1.85	1.95
17154	ნორვეგია-ურუგვაი	1.85	1.95
17155	ინგლისი-აშშ	1.85	1.95
17156	ისლანდია-უელსი	1.85	1.95
17157	პოლანდია-დანია	1.85	1.95
17158	თურქეთი-ფინეთი	1.85	1.95
17159	ირლანდია-კოლუმბია	1.85	1.95

რომელ ტაიმში ბავა მეტი გოლი		I-ში	თანაბრად	II-ში
15079	პეკენი-იონკოპინგი	3.00	2.80	2.00
15146	ხაფრანგეთი-ეკვადორი	3.00	2.80	2.00
15147	იაპონია-პარაგვაი	3.00	2.80	2.00
15148	რუსეთი-სერბეთი 6	3.00	2.80	2.00
15152	ავსტრია-ნიგერია	3.00	2.80	2.00
15154	ნორვეგია-ურუგვაი	3.00	2.80	2.00
15155	ინგლისი-აშშ	3.00	2.80	2.00
15156	ისლანდია-უელსი	3.00	2.80	2.00
15157	პოლანდია-დანია	3.00	2.80	2.00
15158	თურქეთი-ფინეთი	3.00	2.80	2.00
15159	ირლანდია-კოლუმბია	3.00	2.80	2.00

ფრამ ბარემ (პირითაღი ღრო)			
16079	პეკენი-იონკოპინგი	1.12	4.60
16146	ხაფრანგეთი-ეკვადორი	1.05	5.70
16147	იაპონია-პარაგვაი	1.65	2.05
16148	რუსეთი-სერბეთი 6	1.23	3.60
16152	ავსტრია-ნიგერია	1.80	1.85
16154	ნორვეგია-ურუგვაი	1.50	2.30
16155	ინგლისი-აშშ	1.22	3.40
1			



ბერიკასი ბუმბერაზზე ჯომოლუნგმა 77 წლის ხაცმა დალაშქრა

ჯომოლუნგადან ერთი ასეთი ცნობა ჩამოფრინდა: დედა-მინის უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო ნეპალელმა მთასვლელმა მინ ბაკადურ შერპანმა, რომელიც 77 წლის გახლავთ და ადამის შვილ-თაგან ყველაზე ასაკოვანია, ვინც 8848 მეტრის სიმაღლის ბუმბერა-ზს კისერზე ფეხი შეადგა.

შერპანი ექვსი წლით უფრო ბე-ბერია ჯომოლუნგმას დამპყრობ ძველ რეკორდსმენზე, იაპონელ მა-სისვალელებს კაცუსუჟე ინაგისავა-ზე, ვინც შერპან 71 წლის ასაკში ავიდა დედამინის სახურავზე.

„შერპანმა კვირას დილით უწია მწვერვალს. ის თავს კარგად გრძ-ნობს და, სავარაუდოდ, ორშაბათი-სთვის საბაზო ბანაკში იქნება“ — საზეიმოდ ამცნო ხალხს ნეპალის მთასვლელობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა.

იმავე მოხელის ცნობით, კვირას, დაახლოებით, კიდე 220 ადამიანი ავიდა ჯომოლუნგმაზე, რომელთა-გან 87 უცხოელი ანუ არანეპალე-ლია. დღეს ხალხი აი, ასე ჭინჭე-ელებივით ირევა პლანეტის უდი-დეს მთაზე, რომლის დაპყრობაც საუკუნეების განმავლობაში ოც-ნებად ჰქონდათ ადამიანებს.

1953 წელს ედმუნდ ჰილარიმ და თენსინგ ნორგემ ნამდვილი გმი-რობა ჩაიდინეს, პირველები რომ ავიდნენ ჯომოლუნგმაზე და იქი-დან გადმოხედეს სამყაროს, მაგრამ მას შემდეგ ეს უკვე იმდენმა ადა-მინამ შეძლო, რომ დღეს 77 წლის ბერიკასს იქ ასვლა რიგითი საინ-ტერესო ცნობაა. ჯომოლუნგმადან ამ ნახევარ საუკუნეში სამიათასზე მეტმა კაცმა გადმოიხედა და მისი დაპყრობის მსურველთა რიცხვი წლიდან წლამდე ლამის გეომეტ-რიული პროგრესით იზრდება. წლ-ევანდელ საზაფხულო სეზონში 32 ექსპედიცია შეესია ნეპალელ ბუმ-ბერაზს, რაც რეკორდი და სარე-კორდოა კვირა დღეს ჯომოლუნ-გმას დამპყრობთა რიცხვიც.

კიდე ერთი რეკორდსმენის თა-ობაზე: ლევენდარულმა ნეპალელმა მთასვლელმა აპა შერპამ გასულ კვირას კიდე ერთხელ „აისერნა“ ზღვის დონიდან 8848 მეტრზე და თავისივე კუთვნილი ასვლების რე-კორდი 18-მდე გაზარდა.

განო კობიჯიანი

ენერჯის რუსთაველა ინვესტიციებში გააპარტოლა დავით უსტიაფილი: მსაჯეზე არ გზინდა...

რუსთაველა „ენერჯი-ინვესტმა“ საამსეზონო-სანადელი აისრულა — მართალია, საქართველოს თასი და ქორქია-საკანდელიძის მემორიალი ვერ მოიგო, მაგრამ ქვეყნის უმთავრეს ჯილდოს, ჩემპიონობას შესწავდა და საკალათბურთო ჰეგემონია მინიმუმ ერთი წლით გაიხანგრძლივა. „ავიამშენთან“ ფინალური სერია საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოვიდა, რომელიც რუსთაველთათვის ნარუმატებლად კი დაიწყო, მაგრამ მოხდენილად დასრულდა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ დამარცხებულმა „ავიატორებმა“ მსაჯებისკენ გაიშვირეს ხელი, არადა, რუსთაველთა თავკაც დავით უსტიაფილსაც აქვს არბიტრებისადმი არცთუ უსაფუძვლო პრეტენზიები, რაზეც, სხვა საფინანსო ამბებთან ერთად, ამ ინტერვიუში გვესაუბრება...



ჩენის შემდეგ რქულით ვლიდე-რობდით. საბოლოოდ ის მატჩი წა-ვაგეთ, მოედის უპირატესობა და-კარგეთ და თან მომდევნო შეხვე-დრაში ლეჟავას იმედი არ უნდა გვქონოდა. ამაზე მეტი ზარალი რა გინდა, რაც მსაჯის არასწორ გა-დაწყვეტილებას შეიძლება მოჰ ყვეს?!

— იყო არაერთი საეჭვო მომე-ნტი, რომელსაც მსაჯების მიერ თქ-ვენი გუნდის სასარგებლოდ გამო-ტანილი გადაწყვეტილება მოჰყვა...

— საეჭვო ეპიზოდები იმის გა-მო იყო, რომ მეტოქე გუნდის მო-თამაშეები ყოველ ჯარიმას აპო-ტესტებდნენ. არ შეიძლება ყველა-ფერში ეჭვის შეტანა. უბრალო ჯა-რიმანზეც კი, როცა ჩვენიანი შეე-ხებოდა, მეტოქე წესის დარღვევას ყვირილით აფორმებდა. ამიტომაც შეიქმნა ილუზია, რომ მომენტები საეჭვო იყო, თორემ რამდენიმე შე-ცდომა მსაჯს ისეც მოუვა და ასეც ხოლო თუ როგორ დაეზარალებით ამის გამო პირველივე მატჩში, ამაზე უკვე გვესაუბრეთ.

— როგორ მოახერხეთ ასე „მა-ლით“ წაგებული პირველი მატჩის შემდეგ სამივე მატჩის მოგება?

— ყველამ, ვინც მოედანზე გა-ვიდა, ძალიან მოინდოდა. მეორე მატჩში ლეჟავა ხომ არ გვყავდა და ლაშა გამყრელიძე ტრავმირებული იყო. მან გამაყრელიძე თამაშში წაგება არა-ნაირად არ უნდა დაგვეშვა. საბედ-ნიეროდ, გამართული დაცვისა და გამყრელიძის უხადლო თამაშის წყალობით სერიაში ანგარიში გა-ვათანაბრეთ და თბილისური მატ-ჩების წინ დასვენების საშუალება მოგვეცა.

— გამყრელიძის თამაში გამოა-რჩიეთ და ბარემ ფინალური სე-

რიის საუკეთესო მოთამაშე დაგ-ვისახელეთ...

— მე არ მიყვარს ვინმეს გამო-რჩევა, რაკი კალათბურთი გუნდე-რი სპორტია და ყველას თავისი წვლილი შეაქვს გამარჯვებაში. თუ-მცა ფინალურ სერიას მართლაც ჰყავდა გამორჩეული მოთამაშეები. იოვან სტეფანოვმა დიდებული მა-ტჩები ჩაატარა თბილისში. არადა, ის მოწაღლული იყო და მისგან ასეთ თამაშს ნამდვილად არ ვე-ლოდი. მე პრესისთვის არ მითქვამს, მაგრამ სტეფანოვი ფინალების დრო-ს მოიწამლა და 5 დღე მოხარ-შული კარტოფილის მეტი არაფე-რი უჭამია. ის იყო ძალიან დასუ-სტებული, სახეზეც ეტყობოდა და ტანზეც. ჰოდა, საოცრებაც ისაა, რომ მან თავისი საუკეთესო მატჩი სწორედ ასეთ მდგომარეობაში, თა-ნაც ფინალურ სერიაში ითამაშა. რუსთაველ მატჩებში კი გამყრე-ლიძე მიმჩნია საუკეთესოდ.

— მეტოქეთაგან ვის გამოა-რჩევთ?

— ულაპარაკოდ კოტე ტულუშს. ის ძალიან მებრძოლი ხასიათის მო-თამაშეა და დარწმუნებული ვიყა-ვი, რომ იოლად არაფერს დაგვით-მობდა. თბილისში ყველაზე მეტად მისგან ველოდი საფრთხეს და ასეც მოხდა. კოტემ ორივე თბილისურ მატჩში უამრავი პრობლემა შეგვი-ქმნა და ორჯერვე დიდი ნერვიუ-ლობის ხარჯზე მოვიგეთ.

— არადა, ბოლო მატჩში საზე-რეულიო წესით არაფერი არ უნდა გქონოდათ...

— 25 ქულას რომ ივებ, ძნელია, ისეთივე მობილიზების შენარჩუნე-ბა, რამაც ეს ლიდერობა მო-ვაპოვებინა. სერიაში 2:1 ვივებდით, საჩემპიონო მატჩი იყო და ყველამ ძალიან მოინდომა. 30 წუთი დიდებ-

ულად ვითამაშეთ. პირდაპირ მუშა-ყებოდა, ჩემს გუნდს რომ ვუყურე-ბდი. თუმცა, ბოლო ათ წუთში ყვე-ლამ ერთბაშად ჩათვლილა, რადგან გამარჯვებაში ნადრეველ დარწმუ-ნდნენ. კიდე კარგი, რომ ბოლოს ისე სტეფანოვმა იმარჯვა, თორემ მეტოქე ისე იყო მომართული, რომ აუცილებლად დაგვამარცხებდა.

— რომც წაგეთ, ბოლო მატჩს რუსთაველი თამაშობდით. ისე, ში-ნაურ კვლევებში არ გიჯობდათ ჩე-მპიონობის განადღებთ?

— არა, რატომ?! პირიქით, თბი-ლისში უფრო კარგი იყო, რადგან სპორტის სასახლეში იმდენი ქო-მაგი ჩამოგვყავდა, რომლის ნახევა-რიც არ დაეტოვდა რუსთავის და-რბაზში. მიხარია, რომ ჩვენს ყვე-ლა ერთგულ გულშემბატკივარს დი-დი სიხარული ვაჩუქეთ.

— ახლა რას აპირებთ?

— სუპერთასისთვის ვემზადებით, რომელიც 1 ივნისს გაიმართება და შემდეგ დავისვენებთ.

— ევროთასზე წლებლსაც აპი-რებთ გამოსვლას?

— არა გამოიცხადებ, რომ წლე-ულსაც გამოვიდეთ. ხელმძღვანელო-ბა ყველანაირად გვერდში გვიდგას, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა კომპანია „ენერჯი-ინვესტს“. მათი დახმარებით რუსთაველი საკა-ლათბურთო ბუმბა და ვფიქრობ, ეს პროცესი არ შენელებდა.

— გუნდის შემადგენლობაში ცვ-ლილებების მოსალოდნელი?

— ამაზე ულაპარაკო ნადრევია. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით, რომ შემადგენლობა გავამდიოროთ და თუკი ისევე მოგვიხდებოდა ვეროპაზე გა-სვლა, რისი დიდი იმედიც მაქვს, ვეცდებით, ღირსეულად წარმოვა-ჩინოთ ქართული კალათბურთი.

ინაკლი პირატია

NBA პლეი ოფი. ნახევარფინალი



ახლა განუსჯერია ბრაიანტს მოცდა მოუწევს

25 მაისი
დასავლეთი

ლეიპერსი 2:1 სან ანტონიო
სან ანტონიო 103:84 ლეიპერსი
სან ანტონიო: ჯინობილი (30), დანკანი (22 ქულა, 21 მოხსნა, 5 პასი), პარკერი (20)
ლეიპერსი: ბრაიანტი (30), გასოლი (15), ფარმარი (10)

ამ სერიამი ჯერ არც არაფერი გადაწყვეტილა, პირიქით, ყველაფერი ახლა იწყება. მათთვის, ვინც „სან ანტონიო“ საჩემპიონო რბოლიდან ჩამოწერა, პასუხი გააძაბა და ჩემპიონთა არგენტინელმა მსროლელმა მანუ ჯინობილიმ, რომელმაც ორ ლოსანჯელესურ თამაშში საკუთარ აჩრდილს ჩამოჰგავდა, ისე იყო დაღლილი, მოედანზე მოძრაობა უჭირდა და ორ თამაშში 17 ქულა შეაკოწიწა. მაგრამ ბრძოლა სან ანტონიოში გაგრძელდა და ხალხმაც ახალი მანუ იხილა. „ის მეტბოლია, მხრებით ზიდავს დიდ ტვირთს და არ ჩივის — ამბობს „სან ანტონიოს“ თავკაცი გრეგ პოპოვიჩი — მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩავარნდას აღმაელას მოაყოლებდა და თქვენ კი არა?“ ჯინობილიმ 30 ქულა ჩაუგდო „ლეიპერსს“ და თავის გუნდს ლიდერად მოეწვინა, მიუხედავად იმისა, რომ სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში. თუმცა ყველა ვიცით, რომ მისი თადარიგოსობის სტატუსი მატჩის ოქმში ჩაწერილი ფორმალუბაა. რეალურად, მანუ ოთხგზის ჩემპიონთა გამწევი და დამაგვირგვინებელი ლიდერია და ამ ოთხიდან სამ ჩემპიონობაში დიდი წვლილი მიუძღვის. მაგრამ 25 მაისს განა მხოლოდ ჯინობილი ირჯებოდა კარგად. „ლეიპერსის“ დასამარცხებლად მთელი „სან ანტონიო“ შეთქმულ-შეკავშირებულიყო და უკვე მეორე მეთხედლიდან ცხადი გახდა, რომ



რუბრიკას წარმოგიდგინთ
Mobil
ნერგველი გეოლოგიები
№ 1 საავტომობილო ზეთი

ლუისი მთვარეზე

ჰემილტონმა მაკლარენის ტრადიცია გააგრძელა

მონტე კარლოს ქუჩები „მაკლარენის“ ბოლიდებისთვისაა დანგებული — ამ საპირველფორმულო ნათქვამს გასულ კვირას გამართული გიჟური რბოლის შემდეგ წყალი აღარ გაუვა.

უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, კაზინოების ქალაქის ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული და აღმართ-დაღმართიანი ქუჩების ასავალ-დასავალი რონ ლენისზე უკეთ არავინ იცის. 25 წელზე ცოტა მეტია, არც ლენისი „მაკლარენის“ სათავეშია და ამ ხნის განმავლობაში მონაკოს დიდი პრიზი, ფაქტობრივად, „მაკლარენის“ საკუთრებად იქცა — სამთავროში მოიგო თითქმის ყველა, ვინც „მაკლარენის“ საჭესთან იჯდა. ამ ჰეგემონიას გასული საუკუნის 80-იან წლებში აღენ პროსტმა და აირტონ სენამ ჩაუყარეს საფუძველი, რომლებმაც 1984-93 წლებში ათიდან ცხრა დიდი პრიზი მოუპოვეს „მაკლარენს“. „პროფესორმა“ პროსტმა სამთავროში ოთხჯერ (1984-86, 1988) იმარჯვა, ხოლო „ჯადოქარმა“ სენამ, 1987 წელს „ლოტუსით“ მოიგო რა მონაკოში, მერე „მაკლარენში“ გადასულმა, ზედიზედ ხუთჯერ (1989-93) იმარჯვა იქ.

სენას შემდეგ სხვები იყვნენ — 1998 წელს მონტე კარლოში მიკა ჰაკინენი იყო საუკეთესო, 2000 და 2002 წლებში — დევიდ კულტჰარდი, 2005 წელს — კიმი რაიკონენი, ხოლო შარშან ფერნანდო ალონსომ უწია პირველმა ფინიშს. და აი, ახლა ლუისი ჰემილტონის ჯერი დადგა, რომელიც შარშანაც ახლო იყო მიზანთან, მაგრამ მაშინ, ასევე „მაკლარენით“ მოჯირითე ალონსოს ჩამორჩა და საწადელი გუმბინწინ აისრულა, მართლაც რომ გიჟურ, ფანტასტიკურ, წარმოუდგენელ რბოლაში.

არადა, თავიდან ჰემილტონს გვარიანი პრობლემები ჰქონდა. რამდენიმე წრის გავლის შემდეგ ინგლისელმა სველ ასფალტზე შეც-



ლუის ჰემილტონი და რონ ლენისი

დომა დაუშვა, დამცავ ბარიერს გაეხაზუნა და იძულებული გახდა, ბორბლების შესაცვლელად დაუგეგმავი პიტ-სტოპი გაეკეთებინა. ამ დროს ლუისი გვარიანად ჩამორჩა ლიდერებს, მაგრამ შემდეგ ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოჩნდა, შედეგად ჩამორჩენა გაბათილდა და მერე კი ჰემილტონმა ურთულეს პირობებში, პრაქტიკულად, იდეალურად იქროლა. ისიც სათქმელია, რომ რბოლის მეორე ნახევარში უსაფრთხოების მანქანამ, უკვე თავად ინგლისელის უზარმაზარი უპირატესობა დაიყვანა ნულამდე, მაგრამ ლუისმა აღარც ტემპი დააგლო და აღარც პირველობა დათმო. „მოვარეზე ვარ! მოიგო აქ, მონაკოში, ეს ფანტასტიკაა! ეს ჩემი კა-

რიერის მწვერვალია, რომელიც მთელი ცხოვრება მეძახსოვრება — განაცხადა პერსკონფერენციაზე ბენიერმა გამარჯვებულმა და დაამატა — მინდა, მაღლობა გადაუხადო გუნდის მთელ პერსონალს, ოჯახის წევრებს თანადგომისთვის. ეს ურთულესი, ფაიერაკებით აღსავსე რბოლა იყო. მე კარგი სტრატეგი ავიღე და ვგრევე გაუუსწარი კიმის (რაიკონენი), მაგრამ ერთხელ საშინელი წვიმა წამოვიდა და ვეღარც მასაზე მივიტანე იერიში და შემდეგ ბარიერსაც შევეხე, რის შემდეგაც ჩვენი სტრატეგია შეცვალეთ — იძულებითი შემდეგ ერთი პიტ-სტოპი და დავეგემეთ და ამან გაამართლა. დიდებული დღე და დიდებული შედეგია. აღფრთოვანებული ვარ!“

ბასა ლოგამი



ასეთი ავარიები მონაკოს დიდ პრიზზე მრავლად იყო

კვილის პერიკლი არ ეთიოპია სალადინო გაფრინდა და გაბიჭდა

ირვინგ სალაძინი



ლად ირბენს ათენის ვერცხლის მედალოსანი, ახალგაზრდა სილეში სიპინე, ვინც ენგელოს სარბენ ბილიკებზე 10 კილომეტრი 26 წუთსა და 50,53 წამში გაირბინა. მაგრამ ვინ იქნება მესამე ეთიოპი, რომელიც 10-კილომეტრიან დისტანციას გაირბენს პეკინში? ნუთუ ისევე გებრსელასიე? ბებერ ქურციკს რომ ისევე სწრაფი ფეხები და დაუღლე ფილტვები აქვს, ეს აგერ, პოლანდიის მწვანეში ჩაძირულ სამძლეოსნო კუნძულზეც გამოჩნდა. ჰაილე ფირადად მიჰყვა სიპინეს და მის უკან 27 წამის დაგვიანებით გადაჭრა ფინიში, როცა მეორე ადგილისთვის დაეშვა გაასწრო ორ ყოჩად კენიელს. ამით მან სერეიზული განაცხადი გააკეთა ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრაზე, ახლა მისი ბედი სელექციონერების ხელშია. ისე კი, ამ სუპერსამეულით — ბეკელე, სიპინე, გებრსელასიე — ეთიოპიას სულ თავისუფლად შეუძლია პეკინში 10 კილომეტრის პრიზი ისე დაიპყროს, რომ დანარჩენ მსოფლიოს ადარაფერი შეახვედროს.

გებრსელასიეს პოლანდიელი მაყურებლისგან დაუნანებელი ტაში შევება, მაგრამ ენგელიში სხვებიც არანაკლებ მძლავრად გამოვიდნენ. ირვინგ სალაძინომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ბოლო წლებში სივრცეზე ხტომაში ბადალი არ ჰყავს. 25 წლის პანამელმა ჩვეულებისამებრ მაგრად მოუჭირა კბილები მის მკერდზე მოქანავე ოქროს ძეწკვს, გამოქანდა და არც მეტი, არც ნაკლები, 8 მეტრსა და 73 სანტიმეტრზე ისკუპა. მსოფლიოს ჩემპიონი ზომ გახლავთ, ზედმიწევნით 21 ტურნირი ზომ მოუვია, მაგრამ სალაძინო არასდროს გადამხტარა ამ სიშორეს. სალაძინო კი არა, მე-20 და 21-ე საუკუნეებში მხოლოდ ექვსი კაცი გადამხტარა ასე შორს. 8,73 მეტრი კი ყველა დროის საუკეთესო ნახტომია სიაში საპატიო, მე-10 ნახტომად ჩაიწერა. „ადრე 8,50-ზე რომ გადავხტო, თავი სიზმარში მეგონა, ახლა 8,73! ლამის გაგვიფრია“ — ამბობდა პანამელი, ოღონდ გაიფრიალი კი არა, სრულიად მშვიდი გახლდათ. მან კუთვნილი 6-ის ნაცვლად მხოლოდ სამი ნახტომი შეასრულა, თქვა, ოლიმპიადისთვის ძალებს ვინახავო.

მანო კობიაშვილი



ტაისონ გაი და ასაფა ბაუელი

პეკინაშვილ ლონდონი ბაუელ-გაის ამათში ბოლტიც გაპრობა

ასაფა ბაუელი და ტაისონ გაი დიდხანს ემაღნენ ერთმანეთს, მაგრამ ოლიმპიადამდე ერთი ურთიერთშეჯიბრი ბოლოს მაინც დათქვეს. გადაწყდა, რომ ისინი 25-26 ივლისს ლონდონში გასამართ გრან პრიზზე შეეჯიბრიან ერთმანეთს 100 მეტრზე სირბილში და ასე გავლენ ოლიმპიადაზე.

გაი და ბაუელი სულ ექვსჯერ გეჯიბრნენ ერთმანეთს და იამიკელმა ხუთჯერ აჯობა ამერიკელს, მაგრამ გულში უდიდეს ხინჯად მაინც ის ერთადერთი წაგება ჩარჩა, რადგან გაიმ ყველაზე მტკივნეულ დროს და ადგილას, 2007 წლის ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე, ააცალა მოგება ბაუელს.

ბოლტის გასაქარებლად ბაუელმა იმ ხერხს მიმართა, რაშიც მას ბადალი არა ჰყავს და ჰყოლია — გაცეცხლებული გაეფინა სარბენ ბილიკზე და... 100 მეტრი 9,74 წამში გაირბინა, რითაც 0,02 წამით დაამოკლა თავისივე მსოფლიო რეკორდი, მაგრამ დაკარგულ მსოფლიო ოქროს აბა, როგორ დაიბრუნებდა. ასე რომ, გადაწყვიტა, ოლიმპიადაზე მაინც დასაჯოს თავი თავი გაი, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ 200 მეტრის სპეციალისტი გახლდათ, მაგრამ „თავხედურად გადავიდა სხვის ბილიკზე“ და ოსაკაში 200

მეტრთან ერთად 100-იც მოიგო.

ოსაკას მეტე გაი და ბაუელი ერთმანეთს ემაღებოდნენ, ოლიმპიადისთვის თავს ზოგავდნენ, მაგრამ აი, ლონდონში ერთი გენერალური შესამზადებელი შეხვედრა დათქვეს. „ლონდონის ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის — ამბობს გაი — ის ერთ-ერთი უმსხვილესი შეჯიბრია წლიურ კალენდარში და მე და ასაფას იქ შეხვედრით ერთმანეთისთვის ბევრის თქმა შეგვიძლება.“


გაი თუ ბაუელი? ბაუელი თუ გაი? ბოლო ხანს სულ უფრო და უფრო პრეტენზიული ინტონაციით ისმის ეს კითხვა, მაგრამ არის კიდევ ერთი კარგი სპრინტერი, ვისაც შეუძლია, თავის მხრივ ბევრი რომ შეცვალოს პეკინში. ბაუელის თანამემამულე უსაინ ბოლტმა თავისი სიძლიერე ვერ კიდევ შარშან დაამტკიცა, როცა ოსაკაში გაის შემდეგ 200 მეტრზე მეორე იყო. წლებს მან სულ გადარია კონკურენტები, როცა 100 მეტრი 9,76 წამში შეახანზარა და ბაუელის ყოფილ რეკორდს მისწვდა. ცოტა ხანში კი 9,92 შედგა აჩვენა. ასე რომ, ამ ყმაწვილს შეუძლია, პრეტენდენტთა დუეტი ტრიოდ აქციოს, თანაც ის რამდენიმე დღეში ნიუ იორკში გათის ეჯიბრება, ენახათ...

მანო კობიაშვილი

ბიჭი კარიბიტიდან

სამხტომს ადარ ჰყავს ლეგენდარული ჯონათან ედვარდსი, მის შემკვიდრე კრისტიან ოლსონის დროც წავიდა. ასე რომ, სამხტომის ტახტი თავისუფალია და მისთვის გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობს მეგავარსკვლავებად ჯერ ვერქცულ რამდენიმე ჯიქსის შორის.

ერთ-ერთი ამთავანია კარიბის აუზელი, კუნძულ გრენადაზე დაბადებული რენდი ლუისი, ვინც შარშან ლონდონში 17,43-მეტრიანი სამსკუპით თავისი სახელი ტახტისთვის მოადგეფა მოკლე სიაში ჩაწერა. პეკინში პირველობისთვის ისიც იბრძოლებს, ახლაც კარგ ფორმაშია, რაც სან ბაულუმში გამართულ ტურნირზე შესრულებული 17,49-მეტრიანი ნახტომით დაადასტურა. მან პირველივე ცდაზე დაძლია 17



რენდი ლუისი

მეტრი (17,01), მეორეზე კი პარიდი და ქვეყნის რეკორდი განახლდა და ამ შედეგით მიიპყრო სამძლეოსნო მსოფლიოს ყურადღება.

მანო კობიაშვილი

პოლანდიური პროვინციული ქალაქუნა ენგელო ევროპის კი არა, ლამის პოლანდიის რუკას არ ეტყობა, მაგრამ წლების განმავლობაში ისეთ სამძლეოსნო ტურნირს აწყობს, დიდრონი მეგაპოლისების მერ-მამები შურით გულზე სკდებათ.

14 წლის წინათ სწორედ ენგელოში დაამყარა თავისი პირველი მსოფლიო რეკორდი ჰაილე გებრსელასიემ და თუ რაიმე დაუგებმა არ შეემთხვა, ლეგენდარული ეთიოპი ყოველ წელს ჩადის ამ ჭეშმარიტად სამძლეოსნო ალაგებში. ახლაც იქ იყო და 10 კილომეტრი ისე ირბინა, ეთიოპიულ სელექციონერებს ზღვა საფიქრალი გაუჩინა. საქმე ის გახლავთ, რომ გებრსელასიე ბოლო დროს მარათონებზე იყო გადართული, 2006 წელს ბერლინში მსოფლიო რეკორდიც კი დაამყარა, მაგრამ ახლა უთქვამს,


პეკინის ოლიმპიადაზე მარათონს ადარ ვირბენ, რაკი ჩინეთის დედაქალაქის ქუჩებში საშინელი ეკოლოგიური მდგომარეობააო და ისევ ძველნაცად 10 კილომეტრს დაუბრუნდა, სადაც ის მეფე იყო. ეს დისტანცია მოუვია 1996 წლის ატლანტის და 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადებზე, მაგრამ 2004 წელს ათენში მხოლოდ მეხუთე იყო (იქ კიდევ ერთმა ეთიოპმა სუპერსტაერმა კენენისა ბეკელემ იმარჯვა) და უკვე ასაკშემპარული ჰაილეც მას მერე გადაერთო მარათონებზე, ოღონდ თავადაც ხედავთ, არა საბოლოოდ.


ეთიოპიის ოლიმპიურ ნაკრებში, ცხადია, ადგილები შეზღუდულია 10-კილომეტროსნებში ადგილი ვერანტირებული აქვს ბეკელეს, რომელმაც ენგელოში 5 კილომეტრზე ირბინა და მოიგო კიდევ. მის მხარდამხარე პეკინში თითქმის უეჭვე-

ეს კასი ჯონათანი გახვალეს

მაგანა ამერიკელმა ბეისბოლისტმა ჯონ ოლომმა სამი წელი იწაწა უმდაბლესი საბეისბოლო ლიგების გუნდებში, მაგრამ იმდენად უხერხო ვინმე გამოდგა, რომ ვერც სადმე დამკვიდრება შეძლო და ვერც გულიანად თამაში.

ახლა კი ის ქვეყანაში გაიქცა, როგორც კაცი, რომელიც ერთმა გუნდმა მეორეს რამდენიმე სათამაშო კეტში გაუცვალა. ოლომი ბოლოს „კალგარი ვაიპერზში“ მისულა ერთი თვის წინ და იქაურებს თავი ვერ მოაწონა ვერც თამაშით და ვერც ხულიგნური ქცევებით. კანადელებმაც ის „ლარელო ბრონკოსში“ გაუშვეს, იქიდან კი სანაცვლოდ 10 ბეისბოლის კეტს მიიღეს. ეს კეტები ინტერნეტმაღაზიაში ცალი 69 დოლარი ღირებულა, მაგრამ ექვსზე მეტის მსურველს თითოზე ორნახევარ დოლარს უკლებენ. ხის ჯონებში გაცვლილ ოლომს რომ ჰკითხეს, ამ უცნაური ტრეიდის შემდეგ თავს როგორ გრძობო, მას დიდად არ შეუცხადებია — „ეს ამბავი არ მალეღწებს. პირიქით, ხალხმა გამიცნო და მე ჩემდა თავად პრობლემა არ მაქვს.“





წვიმაჲდე ფრანგეჲბჲ კასეჲი ნაჲგაღჲს

პასეჲი

პირველი წრე

როზარი ფიდეტარი (1, შვეიცარია) — სემ ქუერეი (აშშ) 6:4 6:4 6:3; პებლო ანდუსარი (ესპანეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:7 6:2 6:3 6:3; ჯინანდო მონსალესი (24, ჩილე) — პაბლო კუევისი (ურუგვაი) 6:3 6:3 6:3; ტომი როზრემი (12, ესპანეთი) — გილერმო კორია (არგენტინა) 6:7 6:4 6:1 6:4; სიმონ გოლდუნი (იტალია) — მარკოს ბაღდატისი (17, კვიროსი) 6:2 6:4 6:2; მიხეილ ლოდა (საფრანგეთი) — ოლივიე პატენსი (საფრანგეთი) 3:6 7:6 6:3 7:5; ტომას ბარონი (11, ჩეხეთი) — რობერტ სმიტსი (ავსტრალია) 6:1 6:1 6:1; მარსელ გრანოლირსი (ესპანეთი) — მიხეილ ბურერი (გერმანია) 6:3 3:6 6:2 6:3; ოსკარ პრინანდესი (ესპანეთი) — ილი მინარი (ჩეხეთი) 4:6 7:6 6:3 7:5; უილნი ოლსენი (აშშ) — გილერმო კანსი (29, არგენტინა) 7:6 7:6 7:5; პინტანო ტამპლი (საზხ. კორეა) — იონას ბოორკმანი (შვედეთი) 6:4 6:4 6:3; მილტონ ბაროსი-ლეონისი (ესპანეთი) — სერხიო როტიმანი (არგენტინა) 6:2 6:4 7:6; ფინანდო პერესი (ესპანეთი) — სანტიაგო ვეტურა (ესპანეთი) 4:6 6:3 6:4 6:7 6:3; ნიკოლა დევილიერი (საფრანგეთი) — კრის ტუიონე (ავსტრალია) 6:4 6:1 6:4; ფლორანს სირა (საფრანგეთი) — სანტიაგო ხირალდო (კოლუმბია) 6:4 6:3 6:2.

საღაღჲსი

პირველი წრე

ვინსი უილიამსი (8, აშშ) — ციპორა ოზნილერი (ისრაელი) 6:3 4:6 6:2; პანსტასინა პავლიუნინა (რუსეთი) — მარია უმილია სალერი (არგენტინა) 6:1 6:3; ილიანა პანკინი (ზორგანია) — სევერინ ბრემონი (საფრანგეთი) 4:6 6:3 6:2; მიხაელა ფლორანსი (არგენტინა) — სარა ფრანი (იტალია) 6:4 4:6 7:5; ილიანა მანაშკინი (3, სერბეთი) — მონიკა ნიკულესკუ (რუმინეთი) 7:6 6:2; შინილი ლაზარი (საფრანგეთი) — დი იანი (ჩინეთი) 6:3 6:3; შინილა ბაბინსკი (შვეიცარია) — ტამირა პაევი (ავსტრალია) 6:3 6:3; პეტი შინილარი (10, შვეიცარია) — ვიკტორია ბიკოვა (რუსეთი) 6:3 6:4; პეტრა კვიტაშკა (ჩეხეთი) — ალიონა ბონდარენკო (23, უკრაინა) 6:3 6:3; ანეს სპაჰანი (12, უნგრეთი) — აიუმი მორიტა (იაპონია) 6:1 4:6 6:4; კარინ პანანი (32, იტალია) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:1 6:4.

„როლან ბაროსმა“ ხეირიანად გახურებაჲ ვერ მოასწოლო, რომ წვიმამ ორგანიზატორებს გეგმები გვარინანად აურია. ვერავინ იტყვის, ბუნების ძალების ამდაგვარი ჩარევა პარიზული სლემტურნირისთვის ახალი ამბავია, მაგრამ ჩვენ მაინც უიმბლოდნე უფრო ვართ ჩვეული წვიმიან ამინდს.

გუმინ ბლომად მატჩები გადაიდო და კიდეჲ უფრო მეტი შუაწყულზე გაწყდა, მაგრამ ამით კატასტროფული არაფერი მომხდარა — უბრალოდ, მომდევნო დღეებში ორ-

განიზატორებს თამაშების უფრო მჭიდრო გრაფიკით ჩატარება მოუწევთ. არადა, გუმინდელი სათამაშო დღე თაკარა მზის ქვეშ დაიწყოდა და ვისაც ამ დროს კორტზე გასვლა მოუწია, გვარინანადაც გაწყდა — თუმც პარიზში იმდენად მალე მოიხრებულა და დასცხო, რომ ლონდონსაც კი შეშურდებოდა.

მაგრამ მოდით, ბუნებრივ კატაკლიზმებს შევეშვათ და „როლან გაროსის“ კორტებზე დატრიალებულ ამბებს მივუბრუნდეთ. ტურნირი საკმაოდ მშვიდად მიმდინარეობს და რაიმე ხმაურიანი ჯერ არ მომხდარა, თუმც არც აქ ეგების აჩქარება, რადგანაც პირველი წრე ჯერაც არ მიღეულა — სენსაციები კი აუცილებლად იქნება.

„როლან გაროსის“ მთავარი მოვლენა კი ჯერჯერობით მასპინძელთა თავს დატეხილი ტრავმების ეპიდემიაა. ტურნირის წინ როგორღაც ვიუწყებოდათ, რომ შესაძლოა, პარიზში თამაში ვერ მოახერხონ ფრანგული ქალთა ჩოგბურთის ლიდერებმა მარიონ ბარტოლიმა და ამელი მორესიმო — ორივეს სხვადასხვა დაზიანება ჰქონდა. თუმც ამ დღეებმა შეძლო ჯანზე მოსვლა და გუმინ კორტზეც გავიდოდნენ, ისე და ისე წვიმას რომ არ შეეშალა მათთვის ხელი. ფრანგმა გულშემატკივრებმა ამ ამბებით გახარება ძლივს მოასწრეს, რომ უარესი რამ გაიგეს — ერთმანეთის მიყოლებით თამაშზე უარი თქვეს მასპინძელთა ტოპმეჩოვებმა, რისმარ გასკემა და ფოკუსირებულ ცონგამ.

ამ უკანასკნელისგან შეიძლება, დიდი ხეირი არც ყოფილიყო, რადგან ეს ბიჭი თინარზე გვარინანად უნიჭოდ ჩოგნაობს, მაგრამ გასკეგან ფრანგები ლამაზ თამაშსა და ტურნირის გადამწყვეტ ეტაპებზე გასვლას ელოდებოდნენ, მაგრამ...

უშუალოდ კორტებზე დატრიალებული ამბებიდან კი როგორ ფედერერის წარმატებული სტარტი გამოვყოთ. დიადმა შვეიცარიელმა საკმაოდ დამაჯერებლად კი მოუგო სემ ქუერეის, მაგრამ თავისი თამაშით მაინც ბური კითხვის ნიშანი დატოვა, რადგანაც ყოვლად უწყინარ სიტუაციებში ხშირად სცოდა-

ვდა. ალბელის ყოველ გამოსვლას კი ახლა გამაღიებელი შუშით უყურებენ, რადგანაც მისი წლებანდელი ფორმის გათვალისწინებით ძნელი სავარაუდოა, შეუძლია თუ არა მომატება და უკეთ თამაშება.

თავად ფედერერს ამაში ეჭვი არ ეპარება: „როგორც კი აქაურ პირობებს შევეგუე, ყველაფერი მოწესრიგდა. კიდეჲ რამდენიმე დღე მაცალეთ და აუცილებლად მივეშაფებო“. დღის მატჩი კი უდავოდ ტომი რობრედოსა და გილერმო კორიას დაპირისპირება იყო. დაახლოებით ითხი წლის წინ ეს პირველი წრის კი არა, ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი ჯახი იქნებოდა, მაგრამ დღეისთვის სულ სხვა მდგომარეობაა — 2004 წელს პარიზში ფინალის თამაში შემდეგ კორიას საქმეები უკან-უკან წავიდა და არგენტინელი ძალიან ღრმა ორმოში აღმოჩნდა, რომლიდან ამოძრომასაც ახლა გამეტებით ცდილობს. არცთუ ხეირიან ფორმაშია რობრედოც, რომელიც წლეულს განსაკუთრებით აზრზენად გამოიყურება და თავი ვერც თავის საყვარელ თინარზე გამოიჩინა. თვითონ ეს მატჩი კი საინტერესოდ დაიწყო — ჩოგბურთელები კარგა ხანს თანაბრად ომოზდნენ, მაგრამ კორიას ძალები მხოლოდ ორ სეტზე ეყო, რის შემდეგაც არგენტინელმა თეთრი დროშა გამოფინა და კიდეჲ ერთხელ დაგვანახვა, თუ რამდენად შორს არის თავისი საუკეთესო ფორმისგან.

მოხდა ორი მცირე მოულოდნელობაც — პარიზიდან ნადრეკად აბარება მოუწევთ მარკოს ბაღდატისსა და გილერმო კანასს. განსაკუთრებით მოულოდნელი არგენტინელის მარცხი იყო, რადგანაც ის საშუალოზე საშუალო ამერიკელ უინ ოდესნიკს ხვდებოდა. ხოლო ამერიკელთა გრუნტისადმი საერთო სიძულვილსაც თუ გაითვალისწინებთ, მაშინ კანასი უეჭველ ფავორიტადაც მიჩნეოდა. მაგრამ ოდესნიკმა არაფერი დაუთმო გამოცდილ მეტოქეს, ხედიზედ სამჯერ ტაიბრეკამდე მიიყვანა საქმე და სამჯერე იმარჯვა.

ძნელია, ბაღდატისის მარცხს მოულოდნელი უწოდო — კვიპროსე-



ლი წლეულს მარტო ცუდად კი არ თამაშობს, კორტზე გასვლასაც მაქსიმალურად ერიდება. აკი პარიზის წინ არც ერთ სათინარო ტურნირზე არ უთამაშა და ამიტომ გასაკვირი არ არის სიმონე ბოლელისგან დამაჯერებლად რომ მიიზოგნა.

„რას იხამ — ეს ჩოგბურთია. ხან მოიგებ, ხან წააგებ“ — ფილოსოფურად შეხება მარცხს ბაღდატისი.

კიდეჲ უფრო წყნარად ჩაიარა სათამაშო დღეჲ ქალთა შორის, სადაც ერთადერთი მცირე მოულოდნელობა ალიონა ბონდარენკოს მარცხი იყო. უკრაინელი ჩეხმა პეტრა ცვიტოკოვსკამ დანაგრა და მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო.

სამაგიეროდ, მეორე წრეში გაიკვალეს გზა ბობოლბებმა — ელენა იანკოვიჩმა და ვინუს უილიამსმა. თუმც არც მათ ჰქონიათ გზა იავარდით მოფენილი.


განსაკუთრებით მაინც უილიამსმა იჯახინრა, როცა ციპორა ოზნილერის დამარცხებას სამი სეტი მოაწინადა და ბლომად ნერვებიც დაა-

ხარჯა. ვინუსმა ყველაფერი თავის თავს დააბრალოს, რადგანაც აურაცხელი რაოდენობის ბრიყვული შეცდომად დაუშვა და ბედს უნდა უმაღლოდეს, ახლა ჩემოდნების ჩალაგება რომ არ უწყევს.

იწვალა იანკოვიჩმა, მიუხედავად იმისა, რომ საქმე ორ სეტში მოათავა. მონიკა ნიკულესკუმ პირველ სეტი მხოლოდ ტაიბრეკებ დაანება სერბს და აქაც იანკოვიჩს გადამწყვეტი ქულის აღებისას მაგრად გაუმართლა — ბურთი ბადეს მოხვდა და მაინც მეტოქის ნახევარზე გადავარდა. ელენამ ჯერ რუმინელს მოუხადა ბოდიში, შემდეგ კი დაიხარა და ბადეს აკოცა. მეორე პარტიში კი ბაღდატისმა უკვე კლასის ხარჯზე გაიტანა თავისი.

მოიგო ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ და ქალთა ჩოგბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა ანასტასია პავლიუჩენკოვამ — 16 წლის რუსი თითქოს ოენიორებში ყოფილიყოს, ისე გაუშკლავდა მარია-ემილია სალერნის და არგენტინელს მხოლოდ 2 გეიმი უწყალობა.

ახას ლომაჯილი



ელენა იანკოვიჩმა მეორე წრეში წვალებით გააღწია

ქართველები რუსულ ბადეში

ორი ქართველი ითამაშებს რუსეთის ქალაქ ტოლიატის მაგარსავარზე ITF-ის ევდით მიმდინარე 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში. სოფო შაფათავას ეს რეიტინგით ეკუთვნოდა და აკი მე-4 ნომრადცაა განთესილი, ხოლო ოქსანა კალაშნიკოვამ ძირითად ბადეს საკვალიფიკაციო ეტაპიდან უწია, 6:3 6:0 დაამარცხა რა რუსი რენატა ბაკიევა.

ძირითადი შეჯიბრის პირველ წრეში ოქსანა ასევე კვალიფიკანტს, 19 წლის და რეიტინგში 687-ე ადგილზე მყოფ ევგენია პაპკოვას შეხვდება, ხოლო სოფო კიდეჲ ერთ მასპინძელს, კლასიფიკაციის 596-ე საფეხურზე მყოფ 20 წლის ეკატერინა დარნეცს დაუპირისპირდება.

დიდი შანსია, რომ ორი ჩვენებური იყოს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიული კერსონის 50-ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეშიც. საკვალიფიკაციო ეტაპზე სალომე დევიდემ 4:6 6:2 6:4 მოუგო ამერიკელ არანა კოლფერს და, თუ მეორე მასპინძელს, კიმიუნ ნიგენსაც აჯობებს, მაშინ ძირითად ბადეში განთესილ ანა ტატიშვილს შეუამხანაგდება.

თურქეთის ქალაქ გაზიანტებში კი 10-ათასიანი შეჯიბრია და ანა ჯიქია ძირითად ბადეში იქნება, სადაც პირველ წრეში მე-8 ნომრად განთესილ სამხრეთაფრიკელ ლიზა მარშალს შეხვდება.



ევანუვლ სელა

ქსტრაორდინალური სიაგოვნება

სელამ იტალიას პანტანი გაასხენა

საზონის პირველი სუპერბოლოა, რიგით 91-ე „ჯირო დიტალია“ ფინიშისკენ დაიძრა. გასულ უქმეებზე „ჯიროს“ ქარავანმა ორი ურთულესი სამთო ეტაპი მოიტოვა უკან, გუშინ კი ისევ მთებში, კომპარულ აღმართში 13-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა იყო, რომლის შემდეგაც მრბოლებს ალალოდ ეკუთვნოდათ დასვენება.

ზვალდან კი პელოტონი ისევ გზას გაუყვება, ოდონდაც, სანამ კვირას მილანში ჩააღწევდეს, ორი ურთულესი სამთო ეტაპი კიდევ იქნება გასავლელი რბოლის უმაღლესი წერტილით, ზღვის დონიდან 2618 მეტრ სიმაღლეზე მდებარე პასო გავიათი, რომელიც მეორენაირად კოპის მთად იწოდება, ლეგენდარული იტალიელი მრბოლის, ფაუსტო კოპის პატივსაცემად.

თუმცა, კოპის მთამდე ჯერ შორია, გასულ შაბათ-კვირას კი ველოსიპედისტებმა დოლომატის ალპები დალაშქრეს — შაბათს მთ გზაზე ორი უმაღლესი კატეგორიის მთა იყო, ხოლო კვირას, სულაც „სამეფო ეტაპი“ იყო ორი უმაღლესი, ერთი პირველი და სამივე მეორე კატეგორიის მწვერვალით.

ეს ორივე ურთულესი ეტაპი CSF-ის იტალიელმა მრბოლმა ემანუელ სელამ მოიგო და ეს ფანტასტიკა იყო, რომლის მსგავსსაც, თავის დროზე, მარკო პანტანი თუ აკეთებდა.

მე-14 ეტაპზე 27 წლის სელა რამდენიმე მრბოლთან ერთად, სადაც შუა დისტანციაზე მოწყდა პელოტონს, ხოლო ფინიშამდე 46 კილომეტრით ადრე, მან მარტომ შეუტია, ყველა უკან ჩამოიტოვა და თითქმის სამწუთიანი უპირატესობით, ეულად უწია ალპე დი პამპეგოს მწვერვალს.

კვირას, მე-15 ეტაპზე, სელა ესპა-

ნელ ხოაკინ როდრიგესთან ერთად, პირველივე აღმართზე გაიჭრა წინ. მოგვიანებით, ამ დუეტმა კიდევ სამი მრბოლი დაემატა, თუმც მეთაური, მაინც სელა იყო, რომელმაც ყველა მწვერვალზე პირველად დალაშქრა, ბოლო აღმართზე კი თანამგზავრები ჩამოიტოვა და ისევ მარტომ, პანტანის სტილში გასწია ფინიშისკენ.

ახლა, რაც შეეხება გენერალურ კლასიფიკაციას. მეთოთხმეტე ეტაპზე ჯოვანი ვისკონტის იმედებს დაესვა წერტილი. LPR-ის მრბოლს კარგა ხანს ეცვა ლიდერის ვარდისფერი მაისურა, მაგრამ ალპე დი პამპეგოს აღმართს ვერ გაუძლო. უზარმაზარი სხვაობით ჩამორჩა მოწინავეებს და ვარდისფერი მაისურა მანამდე მეორე ადგილზე მყოფ გაბრიელე ბოსისოს გადაულოცა.

ბოსისომ სულ ერთი დღით გაძლო პელოტონის თავში, კვირის ეტაპზე უიმედოდ ჩამორჩა და აენასცენაზე ფავორიტები გამორჩნდნენ — ალბერტო კონტადორი, რიკარდო რიკო, დანილო დი ლუკა, მარსიო ბრუზუგინი, დენის მენშოვი და ჯილბერტო სიმონი. ეს ექვსეული ინდივიდუალური რბოლის წინ წუნახვერიან ინტერვალში იყო, ხოლო კიდევ ერთმა ფავორიტმა ანდრეას კლოდენმა დოლომატის ალპების გამოცდას ვერ გაუძლო და ლიდერს, თავის თანაგუნდელ კონტადორს, თითქმის ექვსწუთნახვერით ჩამორჩა.

სელამ კი ამ თავისი ორი ტრიუმფის წყალობით, სადაც უსასრულოდღან, ერთბაშად მე-10 ადგილზე აინაცვლა, თუმც ის გენერალურ კლასიფიკაციაზე დიდად არ დარდობს: „გუშინდელი გამარჯვების შემდეგ უდიდესი სიამოვნება მივიღე, დღეს კი სიამოვნება, უკვე ექსტრაორდინალური იყო“.

მანჩესტერი კრივის იბანს ჰატონის მოავალ მატონს თიაბი უმჯობეს

დეკემბერში ფლოიდ მეივეზერთან წაგების შემდეგ პირველად გავიდა რინგზე რიკი ჰატონი და წარმატებულადაც — გასულ უქმეებზე მშობლიურ მანჩესტერში ბრიტანელმა მსაჯთა ერთსულოვანი გადაწყვეტლებით დაამარცხა მექსიკელი ზუან ლაკანო და პირველ საშუალო წონაში თავისი, IBO-ს ტიტული შეინარჩუნა.

58 000 გიჟმაფი ინგლისელი გულშემატკივრის მხარდაჭერით გულმოცემულომა ჰატონმა მოლიანობაში დამაჯერებლად გაიმარჯვა. „ჰიტმენად“ წოდებული ბრიტანელი ბრძოლის დიდი ნაწილის განმავლობაში უპირატესობას ფლობდა და ამიტომაც იყო, სამივე მსაჯმა მისი მხარე რომ დაიჭირა — ორი რეფერის ჩანაწერებში ჰატონმა 120-108, მესამის მიხედვით კი 118-110 იმარჯვა.

ბრძოლის შემდეგ ინგლისელი თავის გულშემატკივრებს ემადლიერებოდა, რომლებმაც თავიანთი კერპის მხარდასაჭერად არც ძალღონე დაიშურეს და არც ხმის იოგები:

„აქ საუკეთესო ქომაგები არიან. ისინი ბოლომდე გვერდზე გიდგანან და ემოციურადაც მაგრად გმუხტავენ. ამის გამო მაღლობის მეტი არაფერი მეთქმის“.

ჰატონი ასე კი ემადლიერებოდა ინგლისელ გულშემატკივარს, მაგრამ მან ვერ დადგა ის სანახაობა, რასაც მაყურებელი მისგან ელოდა. დამაჯერებლად მოგების მიუ-

ხედავად, ჰატონს ეტყობა, რომ ვერ არის ფორმაში. ყველაზე მოულოდნელი კი მაინც ის იყო, რომ სადაც გაქრა მისი თავქარიანი, მუდმივად შეტევასე დაგეშილი ბრძოლის სტილი. „ჰიტმენი“ არასდროს გამოირჩეოდა დახვეწილი ტექნიკითა და უნაკლო ტაქტიკური მომზადებით, მაგრამ ბრძოლისუნარიანობისა და სიჯიუტის წყალობით, ნაკლოვანებების კომპენსირებას თავისუფლად ახერხებდა. აქი, ეს ბიჭი ბრიტანეთშიც სწორედ ამდაგვარი ბრძოლის სტილის გამო უყვართ.

თუმც მექსიკელთან შეხვედრაში ჰატონი ჩვეულზე მეტად პასიურობდა და სწორედ ამიტომაც იყო, რომ ლაკანო ერთხელაც ვერ დაანოკდაუნა. მეტიც, თავად ბრიტანელსაც რამდენჯერმე მწარედ მოხვდა და ბედს უნდა ემადლიერებოდეს, რომ უფრო მაღალი დონის მოკრივესთან არ იდგა რინგზე, რადგანაც მექსიკელის ადგილზე ბევრი სხვა სათავესოდ დაამთავრებდა ამ ბრძოლას — ლაკანოს განსაკუთრებით კარგი შანსები მე-8 და მე-10 რაუნდებში ჰქონდა, როცა უძლიერესი მარცხენა ჰუკით ორჯერ დააბარბაცა მასპინძელი და ცოტა მეტი ფხა რომ გამოეჩინა, ეგებ იქვე მოემავრებინა საქმე. მაგრამ ჰატონმა გაუძლო და მაინც გაიმარჯვა — გამარჯვებულებს კი არ ასამართლებენ.

ერთი ეგაა, რომ ასეთი ჩხუბით „ჰიტმენს“ მომავალში მაგრად გაუჭირდება, მით უმეტეს, რომ უკვე

მომდევნო მეტოქე ლაკანოზე გაცილებით სერიოზული მოკრივეა — პირველ საშუალო წონაში IBF-ს ვერსიით ჩემპიონი, ამერიკელი პოლ მალინაგი.


სხვათა შორის, ამ უქმეებზე მალინაგამც იხზება — მშობლიურ ნიუ იორკში იანკმა აესტრალიელ ლავმორ ნდოუსთან ჯაზში შეძლო ტიტულის დაცვა. ჰატონის გულშემატკივრებს კი იმით შეუძლიათ თავი დაიმშვიდონ, რომ ამერიკელმა ბრიტანელზე ცუდი შთაბეჭდილება დატოვა:

არადა, მალინაგამ კარგად დაიწყო და პირველ რაუნდებში გვარინადაც გალახა მეტოქე, მაგრამ მეექვსე სამწუთოეულში სერიოზულად დაიზიანა მარჯვენა ხელი, რის გამოც პასიურობა და თავის დაცვაზე გადასვლა მოუწია. თან ჩემპიონს გვარინანდ უშლიდა ხელს საკუთარივე გრძელი თმა, რასაც საბოლოოდ მისმა მწვრიონელმა ბადი მაკკრტმა ვერ გაუძლო და მერვე და მეცხრე რაუნდებს შორის შესვენებისას თავის შეგირდს დაწული კიკინები შეაჭრა კიდევ. მოკლედ, ავად თუ კარგად, მალინაგამ შეხვედრა მოგებად მიიყვანა — სამიდან ორმა მსაჯმა მაინც მისი მხარე დაიჭირა.

ჰატონისა და მალინაგის შეხვედრა კი ნოემბერში შედგება — ასე რომ, ორივეს საკმაო დროს აქვს საკუთარ შეცდომებზე დასაფიქრებლად და მოსამზადებლად.

აბას ლოგოზილი

რიკი ჰატონი ნოემბერში პოლ მალინაგისთან (მარჯვნივ) იხზებებს



სარბიელი
საორტული გაფითი
გამოიცავა 1990 წლის
28 დეკემბერიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევის და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ზონცხვაია
დირექტორი ბიორბი ოძროშაძელი
მთავარი რედაქტორი ბიორბი ღარიბაია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მონიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე ნუგზარ
ლოლაძე ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორჭილიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი
პიანაშვილი ანასტასია გვარამია
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი,
სარედაქციო სასახლე: 38-11-14, 877 54 55 00

ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაყიძე,
გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ბიორბი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრაული,
ირაკლი პერტუაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლონაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტი: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარივა, ლიანა ბეგელია,
ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი,
რუსუდან ერისთავი, თამარ ქიქელაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
შაზავის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საშუალო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ჭუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@gol.ge
ელექტრონული პორტალი
http://www.sarbili.com.ge